



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბოღი ბეჭე-  
უჭი სიფყვას, ცუდიუბით და ჭებობით ბუბ-  
თის გაფანა ყულა უჯანსიხობაჲ უსაბაგლსია.

გაგონის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

შაბათი-კვირა, 29-30 ივნისი. 2019 წ. №129-130 (8795-8796)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru

ფასი 60 თეთრი

## ქართველებო, გაგულივინო, კონტრაქტისგან თავი შეიკავეთ!

პარტია „ქართული ოცნება“ მოქალაქეებს სთხოვს, თავი შეიკავონ ყოველგვარი კონტრაქტისგან და იმგვარი ქმედებებისგან, რომელმაც შესაძლოა, საფუძველი შეუქმნას დისტრუქციულ ძალას პროვოკაციებისა და დაპაულოების ინსპირაციისთვის.



„პირველ რიგში, გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ჩვენს ყველა მხარდამჭერს და გულშემოტივარს, თითოეულ მოქალაქეს, რომელიც ხედავს და რეალურად აფასებს შექმნილ მდგომარეობას, სახელმწიფო ინსტიტუტებზე მიტანილი შეტევების რეალურ მიზნებს.

განვითარებული მოვლენების ფონზე, საზოგადოებაში ხშირად ისმის კონტრაქტის ორგანიზების მოწოდებები.

ხაზგასმით ვაცხადებთ, საქართველოში დაცულია შეკრებისა და გამოსატყვის თავისუფლება. ჩვენ პატივს ვცემთ თითოეული ჩვენი მოქალაქის პოზიციას და მშვიდობიანი პროტესტის უფლებას. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ჩვენი მოქალაქეების

ეს უფლება იყო, არის და იქნება დაცული. ჩვენი ხელისუფლების პირობებში, ასევე განუხრულად არის და იქნება დაცული ქვეყნის კონსტიტუცია და სახელმწიფო ინსტიტუტები ყოველგვარი აგრესიისა და ძალადობისგან.

სახელმწიფო იცავს როგორც მოქალაქეებს, მათი გამოსატყვის თავისუფლებას, ასევე კონსტიტუციას და საზოგადოებრივ მართლწესრიგს. არსებულ ვითარებაში, მიზანშეწონილად მიგ-

ვანია, ვთხოვთ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც განიცდიან და ემოციურად რეაგირებენ უკანასკნელ დღეებში შექმნილ სურათზე, თავი შეიკავონ ყოველ გვარი კონტრაქტისგან და იმგვარი ქმედებებისგან, რომელმაც შესაძლოა, დამატებითი დაძაბულობა შემოიტანოს და საფუძველი შეუქმნას დესტრუქციულ ძალებს პროვოკაციებისა და დაპაულოების ინსპირაციისთვის“.



**ზურაბ ნადარეიშვილი:**  
**ეს არის სრულყოფილი, ნაცური პატრიოტიზმი!**

**ქეთა ხარქიანი:**  
**მერაბიშვილი, ახალაია, აღეიშვილი და სხვანი...**

**ანდრეი მარკოვი: რუსეთი კვლავ თავს ირცხვენს! ქართველებო, ყოჩაღ, თქვენ სწორ გზას ადგახართ!**

### ვიღრე «ცრუსთავი-2» ფლეთს ჩვენს ეროვნულ სხეულს!..



## ჯაბა ხუბუა: თამარ, ძვირფასო, ტყვია, იცი, როგორი კლავს? გურამ შარაქის რომ ესროლა შენმა მშობლიურმა რეჟიმმა, ის!

### თამარ ბაღაშვილისა და ნამდვილი ტყვიის შესახებ

თამარ ბაღაშვილო, ებ ტყვია, შენ რომ მოგხვდა, არ კლავს, ძვირფასო! ებ ტყვია 2011 წლის 26 მაისს ჩემ კოლეგას და მეგობარს, მაშინ „ასაველ-დასაველის“ ჟურნალისტს ბექა სივსივაძეს 30 ერთად ესროლა, შენ რომ რეჟიმს ეხსახურებოდი, იმან მთელი სხეული დაფლეთილი ჰქონდა. ასევე ბიორგი მამაცაშვილსაც. სხვათა შორის, მაშინ არც შენ და არც შენი არხის რომელიმე წარმომადგენელს 30-წამიანი სიუხატიც არ მიგიძღვნიათ რაზინის ტყვიებით დახვრებილი ჟურნალისტებისთვის.

თამარ, ძვირფასო, ტყვია, იცი, როგორი კლავს? გურამ შარაქის რომ ესროლა შენმა მშობლიურმა რეჟიმმა, ის!

ტყვია, იცი, როგორი კლავს? ხელეგანვეულ გუბა რომაპიქის რომ ესროლა, ბიორგი გამცემლიქის რომ ესროლა, ზურა ვაზაგაშვილს რომ ესროლა, გიბ კრილაშვილს რომ ესროლა შენი სათაყვანებელი მარაბიშვილის პოლიციამ, ის!

კიდეც, იცი, როგორი კლავს, თამარ? როინ შავაძის რომ ესროლა შენმა ჯილა რეჟიმმა, ის. კიდეც, იცი, როგორი? შენი ტელევიზიის მიერ გმირად შარაქილ-

მა რომან შამათავამ შუა ღღვამი, კატერზა შუბლი რომ გაუხვრიტა დათო ცინდელიანს და პაბაბა ქარდავას, ის ტყვია კლავს, ჩემო კარგო! კიდეც, იცი, როგორი ტყვია კლავს? ნავთლულში აჭარულ ასალ-გაზრდა ბიჭავს რომ დაახალა და მირა საკონტროლოც რომ მიხყოლა დათა ასალა-ნიამ, ის.

თამარ-ძალო, „რ-2“-ის თვალთ, ასეა ეს და გახარია სისხლიან ჯალათად რომ გამოაცხადო, რომორც მიწი-მუხ, ნამდვილი სისხლიანი

ჯალათების პარტიულ ტელევი-ზიაში არ უნდა მუშაობდი. გისურ-ვამ, მალე მოგაშუ-შავინოს იმ ტყვიით მიყენებული ჭრი-ლოზა, რომელიც არ კლავს, თუმცა კი, ჩემი ძვირფასო კიდეც კარგა ხანს ვერ მოირჩენს იმ ჭრი-ლოზას, რომელი-თაც შენი ლეიტა-ლური ტელევიზია ფლეთს მის სახელ-მწიფოებრივ და ეროვნულ სხეულს.



# მამუკა ბახტაძე: გიორგი ბახარიას, მთელ სამინისტროს ეკუთვნით ვალდობა და მხარდაჭერა

მინისტრს, ისევე როგორც შსს-ს, ჩემგან და საზოგადოების ყველა წევრიდან ეკუთვნით ვალდობა და მხარდაჭერა...

როგორც მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ორჯერ მოხდა ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა, ორივე შემთხვევაში საზოგადოებას ახსოვს, შტურმი მიიტანეს საქართველოს პარლამენტზე, ქვეყნისთვის ორივე „რევოლუცია“ დასრულდა უმძიმესი შედეგებით.

„ამან მოიტანა ავტორიტარიზმი, ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია, ძმთა მკვლელობა, ეკონომიკური კოლაფსი და სრული ქაოსი ქვეყანაში. დღემდე ვგრძნობთ ამ უმძიმესი მოვლენების შედეგებს. ამის მცდელობა იყო მესამეჯერ. ორივე შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები არ იყვნენ მონოპოლის სიმბოლო, კონკრეტულად კი შსს, რადგან ეს იყო მათი მოვალეობა, აღეკვეთათ უმძიმესი სცენარი ქვეყნისთვის. დღეს არის სხვა მდგომარეობა, შსს-მ შეძლო და აგვაცილა ეს უმძიმესი სცენარი და უმძიმესი გამოცდილება. აქედან გამომდინარე მინისტრს, ისევე როგორც შსს-ს ჩემგან პირადად და საზოგადოების ყველა წევრიდან ეკუთვნით ვალდობა და მხარდაჭერა“, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

## ...გულზე მჯილის ტყვეობით ეკონომიკა არ შენდება!

გულზე მჯილის ტყვეობით ეკონომიკა არ შენდება, ეკონომიკა შენდება შენი მოქალაქეების და შენი კომპანიების ეკონომიკური ინტერესების დაცვით და იმით, რომ მათ შეუქმნა ფართო ასპარეზი და შესაძლებლობები, - ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ჟურნალისტის შეკითხვას, ახდენს თუ არა გავლენას ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ლარის კურსზე.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოში ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა თავისი ნეგატიური ასახვა იქონია ქვეყნის ეკონომიკაზე.

„რა თქმა უნდა, ჩვენი ვალდებულებაა ამ შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტად ვიყოთ ორიენტირებულები კონკრეტულ შედეგებზე. მე გუშინ განვაცხადე, რომ ასეთ პირობებში ჩვენ კიდევ უფრო აქტიურ კონსულტაციებზე ვართ გადასული კერძო სექტორთან. დღესაც მათ შორის, ეკონომიკის მინისტრი წარმოადგენს შეჯერებულ წინადადებებს, რომელიც კერძო სექტორისაგან მივიღეთ. თქვენ სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერა ახსენეთ და რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ჩვენი პრიორიტეტი იქნება, მაქსიმალურად მეტი წინადადება მოვისმინოთ და შემდეგ პოზიციები შევაჯეროთ იმ სექტორის წარმომადგენლებთან, რომელიც აღმოჩნდნენ ყველაზე მეტი გამოწვევის წინაშე. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მე განსაკუთრებული აქცენტი მინდა ტურისტულ სექტორზე გავაკეთო. ჩვენ პარალელურად გვაქვს შეხვედრები და რამდენიმე დღეში გაიმართება შესვენება საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან, რომ საბოლოო ჯამში ჩვენ შევერათ ისეთი პორტფელი ჩვენი ინიციატივების და მხარდაჭერის, რომ შევძლოთ მოვადინოთ მინიმიზირება ამ ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევის. როდესაც ჩვენ ტურისტულ სექტორზე ვსაუბრობთ, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი სექტორი საქართველოში და რაც ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის არის ინკლუზიური და მასში ძალიან ბევრი ადამიანი დასაქმებული, აქედან გამომდინარე, მე ძალიან მძაფრი ვარ იმ შეფასებაში, რომ საოცრად უპასუხისმგებლო განცხადებები მოვისმინე უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებისგან“, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

## ჩვენ მხარს გვიჭერს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და პარტნიორი

საბარტნიოროს პარლამენტთან ძალის გამოყენება იყო ლეგიტიმური, ვინაიდან სხვა არჩევანი და სხვა გზა არ არსებობდა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ბერლინში განაცხადა. პრემიერ-მინისტრის თქმით, ამას ადასტურებს ყვე-



ლა საერთაშორისო ორგანიზაცია და საერთაშორისო პარტნიორი.

„გვაქვს ინტენსიური კონსულტაციები ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან და არ არსებობს არანაირი კითხვის ნიშანი იმ საკითხთან დაკავშირებით, იყო თუ არა ძალა ლეგიტიმური, რომელიც გამოვიყენეთ. დიას, ძალის გამოყენება იყო ლეგიტიმური, ვინაიდან სხვა არჩევანი და სხვა გზა არ არსებობდა. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად, საზოგადოებას და ჩვენც, როგორც საზოგადოების ნაწილს გვაქვს კითხვის ნიშნები, რომ ხომ არ მოხდა რამდენიმე შემთხვევაში კონკრეტული სამართალდამცველის მხრიდან ძალის გადაყენება, ვინაიდან ამის გარკვეული კადრებიც არსებობს და ეს ჩვენ ვიცით. კიდევ ერთხელ მსურს, გავიმეორო, რომ ვიღებთ ვალდებულებას, რომ ჩვენ კონკრეტულ შეფასებას მივცემთ ყველაფერს. მიმდინარეობს გამოძიება ტრანსფორმაციული უმაღლესი ხარისხით, მასში ჩართულია სახალხო დამცველის აპარატი და ჩვენ უზრუნველყოფთ ამ გამოძიების ჩატარებას ყველაზე მაღალი ხარისხით.

სამწუხაროდ, უპასუხისმგებლო ოპოზიციის ნაწილისგან, იმ ხალხისგან, რომელმაც მოახდინა ამის პროვოცირება, ჩვენი მოქალაქეების სამართლიანი პროტესტის გამოყენება თავისი პროვოკაციული მიზნებისთვის, დღეს ამტკიცებდნენ სრულიად სანაიალმდგეოს. არც ერთ საერთაშორისო პარტნიორს, შესაბამის კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებს არა აქვთ არანაირი კითხვის ნიშნები ძალის გამოყენების ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით. ეს არის ერთმნიშვნელოვანი. დღეს სრულად ვართ ფოკუსირებული ჩვენი დაზარალებული მოქალაქეების ჯანმრთელობაზე და მთელი საზოგადოება უნდა ვიყოთ კონცენტრირებული იმაზე, რომ დროულად მოვიშუშოთ ეს იარები. ეს იყო ძალიან მძიმე წუთები თითოეული ჩვენგანისთვის და ქართული სახელმწიფოსთვის“, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

# არჩილ თალაკვაძე: საქართველო არ განდობა აბრეშოვლი დღის წესრიგის მქონე მძევალს



საბარტნიოროს არც საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით, არც საგარეო ასპარეზზე არ განდობა და არ უნდა განდგეს აგრესიული დღის წესრიგის მქონე მძევალს, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე „პარტიოტთა ალიანსის“ წევრის ადა მარშანის კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

ადა მარშანიამ სხდომაზე განაცხადა, რომ მომავალი კვირიდან ერთიანი ეროვნული გამოცდილება იწყება და საოკუპაციო რეჟიმის მიერ ენგურის ხიდის ჩაკეტვის გამო კი, აბიტიურიენტები ენგურის ხიდზე ვერ გადმოდიან. ადა მარშანიამ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარებაში განათლების სამინისტრო უნდა ჩაერთოს.

არჩილ თალაკვაძის განცხადებით, ენგურის ხიდის ჩაკეტვაზე რეაგირება მყისიერად მოხდა.

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ საკითხთან დაკავშირებით, რეაგირება მოხდა მყისიერად. იმ ფორმატებში, რაც

ლოს ეკონომიკური განვითარება, ევროპული მომავალი, სტრატეგიული თანამშრომლობა აშშ-სთან და ჩვენს პარტნიორებთან და იმაზე, როგორ ეფექტურად შევძლებთ, რომ რეგიონში ყველაზე უსაფრთხო ქვეყნის სტატუსი შევინარჩუნოთ ყოველგვარი ეჭვების გარეშე“, - განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, სესიის დღის წესრიგს დაემატა საკითხი - „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებები“.

ამასთან, საორგანიზაციო საკითხების დღის წესრიგში არის საპარლამენტო ოპოზიციის ფრაქციების ნაწილის პოზიცია და სურვილი, არ მიიღონ მონაწილეობა სხდომაში და მათი ეს პოზიცია რჩება დღის წესრიგში.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ენგურის ხიდზე გუშინ 20:00 საათიდან მოძრაობა ცალმხრივად ჩაკეტა. აკრძალვა აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა 25 ივნისის სხდომაზე მოითხოვა და ე.წ. პრეზიდენტს რაულ ხაჯიმბას მიმართვა გაუგზავნა. ე.წ. აფხაზეთის პარლამენტი, „სახალხო კრება“ მიზნად საქართველოს პარლამენტის წევრის აკაკი ბობოხიძის მიერ რუსეთის დუმის დეპუტატის სერგეი გავრილოვისადმი გამოთქმულ სიტყვებს ასახელებს. გარდა ამისა, მათ აკაკი ბობოხიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვეს.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში აცხადებენ, რომ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ენგურის ხიდის ნაწილობრივ ჩაკეტვა განიხილება, როგორც მოსახლეობისთვის თავისუფალი გადაადგილების უფლების უკანონო შეზღუდვა.



## საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის გაუარესდა

საბარტნიოროს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციამ, 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით -23.5 მლრდ აშშ დოლარი (-63.2 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის (ბოლო ოთხი კვარტალის) -145.0 პროცენტია.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით 233.9 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა.

ამასთან, 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, მთლიანი საერთაშორისო აქტივები 9.9 მლრდ აშშ დოლარია (26.7 მლრდ ლარი), რაც წინა კვარტალის მაჩვენებელს 37.5 მლნ აშშ დოლარით აღემატება.

მთლიანმა საერთაშორისო ვალდებულებებმა 33.4 მლრდ აშშ დოლარი (89.9 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც წინა კვარტალის მაჩვენებელზე 271.4 მლნ აშშ დოლარით მეტია.

# ქათა ხარკიანი: მერაბიშვილი, ახალია, აღიშვილი და სხვანი...



თი, ვინც 7 ნოემბერსაც არბევდა ხალხს და 26 მაისსაც უკეტავდა გზას გასაქცევად! კოპაბიტაცია და ჩანერგილი, საბოტაჟის მომწყობი ნაცები უნდა ამოძირკვოთ! გაკრილოვის ჩამოთრევა უდიდესი შეცდომა იყო!

მოკლული ბიზნესმენის ბესიკ ხარკიანის შვილმა ქათა ხარკიანმა სოციალურ ქსელში ასეთი პოსტი გამოაქვეყნა:

„მე თუ გავხდები ხალხის თვალში სისხლიანი ჯალათი, ეს ნიშნავს, რომ ესეც ჩემი ტვირთია, რომელსაც როგორმე ვატარებ.“

„ყველაფერი, რაც ამ დონისძიების დროს მოხდა, ჩემი პასუხისმგებლობაა, მისი დაწყებიდან დასრულებამდე – ამ პასუხისმგებლობას მე არ გავუბრუნებ“, – ამბობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია!

თითოეული ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე მნიშვნელოვანი არავინ და არაფერია! ეს სიტყვები იმ ორ ადა-

მიანს, ვინც თვალი დაკარგა, წართმეულს ვერ დაუბრუნებს, მაგრამ წართმეუდივინე, 9 წლის მანძილზე და მერეც, როდისმე ერთხელ მაინც რომ ეთქვა რომელიმე ნაცს იგივე წინადადებები, იქნებ ოდნავ შეეხებოდა გვეგვრძო მათ, ვისაც დაუბრუნეს ცხოვრება!

მერაბიშვილი, ახალია, აღიშვილი და სხვანი წარმოგიდგენიათ ისევე მსხდარნი ჟურნალისტების წინ, როგორც გახარია იჯდა? ადამიანურად განადგურებული! არ უნდა გადადგეს! მან მართალი თქვა, უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, თავად დასაჯოს ის, ვინც მის ბრძანებას გადაამტკიცა და გახსენება მოინდომა იმის, თუ როგორ იქცეოდნენ ნაციონალური რეჟიმის დროს! დიას! იმ სპეცრაზმში ბევრია ისე-

## ზურაბ ნადარეიშვილი: ეს არის ცრუქაქუნა, ნაცური პატრიოტიზმი!

კომპოზიტორი ზურაბ ნადარეიშვილი „გავრილოვის ლამის“ შესახებ საუბრისას აქციის ერთ-ერთ მონაწილეს მიმართავს, რომ როცა რევოლუციას აწყობენ, უნდა იცოდნენ, რომ ან თვალი დაეკარგებათ, ან საერთოდ თავიცი შეიძლება მოგვრეს ვინმეს და დაგორდეს!“

სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ერთ-ერთი ფენისტურ-მომხმარებლის პოსტის კომენტარში წერს:

„როცა ახალგაზრდები რევოლუციას აწყობენ, უნდა იცოდნენ, რომ ან თვალი დაეკარგებათ, ან საერთოდ თავიცი შეიძლება მოგვრეს ვინმეს და დაგორდეს!“

კითხვას, დააფიქსირა თუ არა პოზიცია სახელმწიფო კონსერვატორიამ აქციის დარბევის შესახებ, კომპოზიტორი პასუხობს, რომ კონსერვატორია არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომ განცხადებები აკეთოს მიმდინარე მოვლენებზე.

„იმ თავისუფალი ადამიანები მუშაობენ, ზოგი მიტინგზე და ზოგი სახლში, მათი ნებაა!“, – აღნიშნავს ზურაბ ნადარეიშვილი.

ამავე პოსტის კომენტარებში ის წერს, რომ უამრავი კომპანია რუსეთს აქვს ნაყიდი და ეს მაშინ მოხდა, როცა ის ხალხი იყო ხელისუფლებაში, რომლის დაბრუნება ახლა აქციის მონაწილეებს რევოლუციით სურს. მისი თქმით, ოკუპაცია სწორედ მაშინ მოხდა და „მაშინ არ მოგდომებიათ პარლამენტში შევარდნა“.

„ჰო, უამრავი კომპანია რუსეთს აქვს ნაყიდი! დღეს განიბათ ის ამათი როდის აქვს ნაყიდი, იკითხეთ მირაი აი, ეს ხალხი რო იყო ხელისუფლებაში, ვინც მოყვანას ახლა გინდათ რევოლუციით, მაგათ დროს! და ეს ოკუპაციაც, ახლა რო გაბახსნადათ რატომღაც, ეგები მაგათ დროს მოხდა და მაშინ არ მოგდომებიათ პარლამენტში შევარდნა – ეს რა გაბავიკითხეთო ეგ არის ცრუქაქუნა, ნაცური პატრიოტიზმი და ვერანაირად ვერ მოხდება ხელისუფლების შეცვლა ისე, როგორც თქვენ გინდათ. იმიტომ, რომ სხვა ადამიანებიც ცხოვრობენ ამ ქვეყანაში იმათ გარდა, ვინც იმ დღას მოედანაო მითხრავთ მთელი გზაბრძოლით!“, – წერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი.

FOR.GE



მე ვიცი, რომ გახარია გადადგომა არ იგეგმება და არც არავის გადადგომა არ იგეგმება, – ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. „არ იგეგმება და მე ვფიქრობ, რომ ამ სიტუაციაში თუ ვინმეს აწყობს გახარია გადადგომა, თუ ვინმეს აწყობს მთავრობის გადადგომა და გადადგება, ეს არიან ის ძალები... დღეს ჩვენს ქვე-

## თეა წულუკიანი: ვიცი, რომ არავის გადადგომა არ იგეგმება

ყანაში ანთია ცეცხლი. თქვენ იცით, რომ მე არც ლაპარაკის პრობლემა მაქვს, არც ენაკვიმატობის პრობლემა და არც სხვა რამის, მაგრამ ნებისმიერ ჩემს სიტყვას ვზომავ, იმიტომ, რომ მიკავია ის თანამდებობა, რაც მიკავია და არ მომივიდეს ისე, რომ იმ ცეცხლზე, რაც ანთია, დავასხა ნავთი“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ოპოზიციის მოქალაქე, იქ, სადაც იყო, არ უნდა ყოფილიყო, ვამბობ ძალიან რბილად, ამისთვის პასუხისმგებლობა აიღო ქვეყანაში რიგით მეორე პირმა, გადადგა, ჯობდა უფრო ადრე, მაგრამ გადადგა, – ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გუშინ თქვა.

„ჩვენ ამ ქვეყანაში გვინახავს, რომ სამჯერ და ოთხჯერ მომხდარა სახელმწიფოზე თავდასხმა, ომები და გადატრიალებების მცდელობები ან შეუსრულებელი გადატრიალებები. მე ვსვამ კითხვას, ამან რა მოუტანა ჩვენს ქვეყანას. კარგი არაფერი. აქაც რბილად ვამბობ, შესაბამისად, ვზომავ ყველა სიტყვას. მოგცემთ მე ამით მაგალითს. არ უნდა მომხდარიყო, მოხდა. გავა დრო და უფრო მწვავე სიტყვებს ვიტყვით. არ არის კარგი შეჯიბრი, ვინ უფრო მწვავე სიტყვებს ვილაპარაკებთ დღეს ქვეყნისთვის. შესაბამისმა პირმა გამოიჩინა პასუხისმგებლობა. ასეთი რამ ჩვენ ადრე არ გვახსოვს, მაგრამ ჩვენს ხელისუფლების პირობებში გამოვიჩინეთ ეს მრავალჯერ. ერთხელ გვახსოვს ბატონი შოთაძე გადადგა...“

## ნუკრი ქანთარია: გიორგი გახარია არს ერთ შემთხვევაში არ უნდა გადადგეს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ დაკავებული თანამდებობა არ უნდა დატოვოს.

როგორც ჟურნალისტებს ქანთარიამ განუცხადა, გიორგი გახარია ის კაცი არ არის, რომელიც სკამს ებლაუჭება.

„მას პასუხისმგებლობა აქვს აღებული და იმ ტვირთსაც გრძნობს, რაც დაზარალების თვალსაზრისით მოხდა. მას მაქსიმალურად უნდა, რომ საქმე იმ ეტაპამდე მიიყვანოს, როცა მტყუნ-მართალი გამოკვეთილი იქნება. ნამდვილად არ არის ისე, რომ ეს იყოს სისტემური დავალება, რომ ბოლომდე ჩახოცეთ, ჩაკალით, ისე გააკეთეთ, რომ მეორედ აღარ ჰქონდეთ პროტესტის სურვილი. დარწმუნებული ვარ, ასეთი დავალებები გაცემული არ იყო წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით. გიორგი გახარია პოლიციელებს მიზანში სროლას ვერ ასწავლის, თუ ისინი სხვას უმიზნებდნენ და სხვას მოხვდა. ვერ ასწავლის, რადგან ეს მისი საქმე არ არის. ეს სხვა

საქმეა და ამ თვალსაზრისით ცალკეული პირები უნდა გამოიკვეთონ, ვისაც ეს გადაცდომა მოუვიდა. კერძოდ, ნადირობის წყურვილი საიდან მოვიდა, რა ფსიქოლოგიური პროტოტიპებისგან შედგებოდა ეს ხალხი, შემთხვევით მოხვდა, თუ განგებით, ეს არის გამოსაკვლევი. არ ვიცი, რა კატეგორიის ტყვეებია, მაგრამ როგორც გუშინ აღნიშნა, ეს არის 2012 წლის აგვისტოში შექმნილი ტყვეები. გახარია ამის ექსპერტიზას ვერ ჩაატარებდა, იკითხა, ტყვეები გვაქვს, უთხრეს, გვაქვს. პოლიცია საში საათი ითმენდა და როცა შეიმჩნის, რომ კორდონი ირღვეოდა, დაშლის გადამწყვეტილება მიიღეს. დაშლა როგორ განხორციელდა, გამოძიების საგანი ეს არის. გიორგი გახარია არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გადადგეს. ახალგაზრდების სურვილი ერთია, რომ მათი მეგობრები დაზარალებულნი და თვალის სინათლე დაკარგეს, მაგრამ ამ ტალღას პარტიები ასხედან. ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“, რომლისთვისაც ყველაფერი მოძრაობა“, რომლისთვისაც ყველაფერი საბაბია, სინამდვილეში კი, უნდათ, პოლიცია დასუსტდეს“, – განაცხადა ქანთარიამ.

# რატომ დაინიშნა უკან ივანიშვილმა და რამდენად სწორად იქცევა გახარია?!

გუშინდინ გიორგი გახარიას შურნაღისტაბ-თან შეხვედრაზე დაამარტოვდა:

1. საგანგებოდ შერჩეული ტელეჟურნალისტების უმრავლესობა (ეს არ ეხება ბონდო მინარაშვილს, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა კონსტრუქციულობით) მინისტრისგან არა ობიექტური ინფორმაციის მიღებითა და არსებით ნიუანსებში გარკვევით იყვნენ დაინტერესებული, არამედ, თავიანთი უტიფრობითა და არაჟურნალისტური ფესტებით (განსაკუთრებით თამარ ბაღაშვილი) კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი საქართველოს შიდა და გარე მტრების დავალებას ასრულებენ, ოღონდ, უნიჭოდ!

კიდევ ერთხელ წარმოჩინდა ისიც, რომ არაფერი ვთქვათ ტელეჟურნალისტების არაპროფესიონალიზმზე (კითხვების დასმის და სწორად გააზრების კულტურაც არ გააჩნიათ), ისინი თავიანთი აგრესიულობით და უკანასკნელ ნიშნულამდე დასული ისტერიით ხელს უწყობენ მასების გეგმაზომიერად ზომბირებას!!!

2. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება გახარიასგან უფრო მკვეთრი განცხადებების გაკეთებას ელოდებოდა, „ჯალათად“ მონათლულმა მინისტრმა კიდევ



ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი დინჯი, განონანსორებუ-ლი პოლიტიკოსია, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავის მართვა და მოზომილი მესიჯების გაკეთება.

გახარიას პასუხებმა აშკარად წარმოაჩინა, რომ იგი შეზღუდულია 20-21 ივნისის რუსთაველზე განვითარებული მოვლენების ობიექტურად (გოლომად) შეფასებაში და სერიოზული წნეხის ქვეშ იმყოფება, თუმცა, არა ივანიშვილის ახირებების გამო.

წარმოაჩინა ისიც, რომ აქციას, რომლის მიზანი ქვეყნის ღრმა პოლიტიკურ კრიზისში შეყვანა იყო (ხელისუფლების ძალადობით დამბობის მცდელობით), „ნაციონალებთან“ ერთად მხარს უჭერდა „ქართული ოცნების“ გარკვეული ფრთაც – მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის შტურში წარმატებით ვერ განხორციელდა, გარკვეულმა გარე და შიდა მტრებმა მიზანს მაინც მიაღწიეს – დღევანდელმა ხე-

ლისუფლებამ უდანაშაულო მომიტინგეთა სისხლიანი დამრბევის ხოლო, გახარია, „ჯალათი მინისტრის“ იარლიყი მიიწება!

გახარიას განცხადებამ: „მე მხოლოდ გამოძიების დამთავრების შემდეგ გადავდგები“, პირადად ჩემს თვალში კიდევ უფრო აამაღლა მისდამი, როგორც პრინციპული და დასაყრდენი პოლიტიკოსისადმი სიმპათია – რაც არ უნდა მოინდომოს, მას დღეს მეტის გაკეთება არ შეუძლია (კიდევ ვიმეორებ, არა ივანიშვილის ახირების გამო)!

აშკარად წარმოჩინდა ისიც, რომ მძიმე ზენოლა მოხდა საქართველოს ფორმალურ მმართველზე – ბიძინა ივანიშვილზეც, რასაც მოწმობს სასამართლოს მხრიდან ნიკა მელიას წინასწარ პატიმრობაში აყვანაზე უარის თქმა (რასაც პროკურატურა ითხოვდა) და გახარიას არმისვლა პარლამენტში.

არ ვიცი, რამდენად შექალებს საპარტიოლოს პროკურატურა გახარიას უწყობის დახმარებით 20-21 ივნისის აქციის გოლომად (სამართლიანად) გამოძიებას (რაც ნათელს მოჰყვანს ნაცი ოცნება-რეზის მხრიდან უფლებამოსილების გამოწვევად გადახედვას და „ქართული ოცნების“ ზომბირებით მალაქინოსის აშკარა კვარა გახარიას „გაფუჭებაში“) და ობიექტურად დადგინებას, მაგრამ, ერთი რამ ნათელია – გარეშე ქალაქი „ნაციონალებს“ აგზავნის სავსებით კიდევ ერთხელ გადავარდნა და აიძულეს ივანიშვილი უკან დაეხია!!!

რაც არ უნდა ვიძახოთ: „ახია მათზე“ (იგლისს-მება, ქართული ოცნება), ერთი რამ ცხადია: „ნაცებისა“ და „ქოცების“ ამ ბინძურ თამაშში ყველაზე მეტად ზარალდება ქვეყანა...

უდავოა ისიც, რომ, თუ საზოგადოების წიაღიდან ახალი მუსხტი არ წამოვიდეს (ვინც დღეს რუსთაველზე დგას, მათ ასეთ ძალად, სამწუხაროდ, ვერ მივიჩნევ), არა მარტო „ნაცების“ ხელისუფლებაში დაბრუნების, არამედ, ქვეყნის საერთოდ ფეხზე წამოგდომის შიშაც უნდა გვკონდეს!

ზაურ ნაჭყვიანი



## ზაქარია ქუცნაშვილი „დასაქმის შედეგ“ ახლად ნაყიდ შენობებს არემონტებს



რადღირებულ და პრესტიჟულ სამშენებლო კომპანიაში ბინის ყიდვა.

ქუცნაშვილებმა მიწის ნაკვეთი გასულ წელს ყაზბეგში შეიძინეს. დეკლარაციის თანახმად, ზაქარია ქუცნაშვილის მეუღლემ თვა სანიკიძემ, დაბა სტეფანწმინდაში, 888 კვ.მ. მიწაში 35 ათასი ამერიკული დოლარი გადაიხადა.

ქუცნაშვილები საბურთალოზე არასაცხოვრებელ უძრავ ქონებასაც აქ-

მყოფი პარლამენტის წევრის ზაქარია ქუცნაშვილის კუთვნილ შენობებში, რომლებიც თბილისში, ტურგენევის ქუჩაზე მდებარეობს და რომლებიც ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს, მიმდინარე რემონტის დროს ღირებული ფრაგმენტები მოხსნეს და უკან აღარ აბრუნებენ.

ფრაგმენტები და ჩუქურთმები, რომლებიც ტურგენევის 2 და 4 ნომრებში ჩამოსხნეს, ღია ცის ქვეშ აწყვიდა. რემონტზე მომუშავე მუშებმა ადგილობრივებს უთხრეს, რომ, რადგან არ აპირებენ ფრაგმენტების უკან დაბრუნებას, შეუძლიათ ისინი აიღონ კიდევ.

ზაქარია ქუცნაშვილმა ტურგენევის ქუჩაზე ორი ბინა სარდაფებით და სხვენით 2018 წელს იყიდა. ეს ქუჩა თბილისის ისტორიულ ნაწილში, განახლებულ ალმანებელთან ახლოს მდებარეობს და ყოფილი დეპუტატი იქ, სავარაუდოდ, სასტუმროების მოწყობას აპირებს.

ხელოსნებმა, რომლებიც ისტორიულ ძეგლს არემონტებენ, დადასტურეს, რომ ეს შენობა ნამდვილად ყოფილი დეპუტატს ეკუთვნის. სახლის ჩამოსხნილი ფრაგმენტები კი რამდენიმე მოქალაქემ მართლაც წაიღო. ერთ-ერთი მათგანია ნატა ფერაძე, რომელიც ამბობს, რომ თუკი ზედამხედველობის სამსახური ამ სახლების ბედით დაინტერესდება და მათ ნორმალურ რეაბილიტაციას ჩაუტარებენ, სახლის დეტალს უკან დიდი სიამოვნებით დააბრუნებს, მანამდე კი შეინახავს, რომ ამ გზით განადგურებას გადაარჩინოს. ზაქარია ქუცნაშვილის სახლის ის დეტალი, რომლის შენახვაც ნატა ფერაძემ გა-

დანვიცა, რუსთავი 2-ის მიერ რამდენიმე დღის წინათ მომზადებულ სიუჟეტში ჯერ კიდევ შენობაზე იყო მიმდგომი. ასეთივე დეტალები ამ დრომდე დევს ზაქარია ქუცნაშვილის ახლადნაყიდი სახლის სადარბაზოშიც.

„ტფილისის ჰამპტონის“ წევრი ცირა ელისაშვილი კი ამბობს, რომ ყოფილი დეპუტატი ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლზე რემონტს ყველანაირი არქიტექტურული პროექტის გარეშე, წესების დარღვევით აკეთებს.

ამ შენობის რეაბილიტაციის პროექტი თბილისის მერიის საიტზე იქებნება და მასში წერია, რომ „სამუშაოებით დეტალურ შევნიშვნაში შევნიშნულ ისტორიული შენობის ინტერიერი, რათა უფრო მიმზიდველი გახდეს მისი სტუმრებისთვის.“

ტურგენევის ქუჩაზე მისულ რადიო თავისუფლების გადაამღებ ჯგუფს ყოფილი დეპუტატი ადგილზე დახვდა და უთხრა, რომ ეს შენობა მისი კერძო საკუთრებაა, რომელიც საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნება აღმოჩნდა. ყოფილი დეპუტატის თქმით, მას ამ სახლების შესაძენად იპოთეკური სესხის აღება დასჭირდა. დეპუტატმა ისიც თქვა, რომ შენობა ძველია, 2 საუკუნეზე მეტი ხნისა და ის რეაბილიტაციის შემდეგ კიდევ უფრო ლამაზი და მშვენიერი იქნება.

„მრავალჭირნახული შენობაა, კომუნისტების დროს მოხდა უამრავი ოჯახის შესახლება, დღეს მდგომარეობით ჩვეულებრივი იტალიური ეზოა. როგორც ისტორიკოსები გვეუბნებიან, ეს იყო სასამართლოს შენობა. ფაქ-



ტიურად ვეშვებები სახელმწიფოს, როცა პირადი სახსრებით ვახდენ ექსტერიერის რეაბილიტაციას. ექსტერიერი ნიშნავს ფასადს“, – უთხრა ზაქარია ქუცნაშვილმა რადიო თავისუფლებას.

2018 წელს ამ შენობების გარდა ქართული ოცნების წევრის ოჯახის ქონება მილიონ ლარს უძრავი ქონებით გაიზარდა.

ომარ ქუცნაშვილს, ზაქარია ქუცნაშვილის მამას, 76 ათასი ამერიკული დოლარი დაუჯდა ერთ-ერთ ყველაზე ძვი-

ტიურად აგროვებენ. საბურთალოს 32 ნომერში, 88 კვადრატულ მეტრში დეპუტატმა ქუცნაშვილმა 70 ათასი ამერიკული დოლარი გადაიხადა. 2019 წლის დეკლარაციის თანახმად, გადაიღეს და კიდევ მიუმატეს ფართი ქუცნაშვილების 4-სართულიან სახლს საირმის გორაზე. ეს შენობა დეკლარაციაში 180 ათას ამერიკულ დოლარად შეფასებული.

დეპუტატის წლიური ხელფასი 56 835 ლარს შეადგენს.

ნანტასია არაბული



# ფრანკოფონური ქართული სააქადემიო „ქართული“

## უხვედრა ცნობილ გერმანელ ქართველოლოგთან იოსტ გიპერტთან

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მიმდინარე წლის 27 ივნისს შედგა უხვედრა ცნობილ გერმანელ ქართველოლოგთან და აკადემიის უცხოელ წევრთან იოსტ გიპერტთან, ასევე მოეწყო მისთვის უცხოელი წევრის დიპლომის გადაცემა.

უხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, შემდეგ სიტყვა გადაეცა აკადემიკოს მზექალა შანიძეს, რომელმაც დანვრილებით მიმოიხილა იოსტ გიპერტის შემოქმედებით და მეცნიერული გზა.

იოსტ გიპერტი გახლავთ მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, იგი არის 200-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მათ შორის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის (დღევანდელი ილიაუნი) სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. თავისუფლად ფლობს ქართულ ენას და იცის სვანური. მან მრავალი ქართველოლოგიური

ნაშრომი გამოაქვეყნა უცხოურ ჟურნალებში გერმანულად და ინგლისურად. მეცნიერმა საქართველოში ჩამოიტანა და ქართველ კოლეგებს გადასცა ათონურ ქართულ ხელნაწერთა სრული ელექტრონული ვერსია. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით გიპერტმა გამოაქვეყნა გერმანულად წიგნი „ქართული ხელნაწერები“.

მისი ინიციატივით 2002 წელს ფრანკფურტის უნივერსიტეტში დაარსდა კავკასიოლოგიის კათედრა, რომელზეც დღესაც იკითხება ძველი ქართული ენა, ახალი ქართული ენა, მეგრული, ლაზური, სვანური, კავკასიის ალბანური და სხვა.

გიპერტმა გერმანულად თარგმნა გალაკტიონ ტაბიძისა და რატი ამაღლობელის ლირიკა.

უხვედრის დასასრულ აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა აღნიშნა, რომ – 2021 წელს მეცნიერებათა აკადემიას უსრულდება 80 წელი და ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჩატარდება ქართველოლოგიური კონგრესი, რომელზეც მოწვეულია ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი იოსტ გიპერტი.

**ნათია ვადაჭკორია**  
**სწრაფი: უხვედრები მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.**



# რას მივიღებთ მწერალთა სახლისა და წიგნის ცენტრის ნაცვლად?

მწერალთა მწერალთა სახლისა და წიგნის ცენტრის აღდგენას მოითხოვენ. რამდენიმე დღის წინათ კულტურის სამინისტრომ ამ ორი სტრუქტურის ბაზაზე ლიტერატურის ეროვნული ფონდი დააარსა.

„რეორგანიზაციის სახელით გაუქმდა კულტურის სამინისტროს ორი ყველაზე წარმატებული სსიპი... მოვიტხოვთ, შეჩერდეს სახელდახელო და გაუაზრებელი რეორგანიზაცია და მივცეთ ქართველმწერლებს, ლიტერატორებსა და გამომცემლებს საკონსულტაციო პროცესში ჩართვის საშუალება!“ – წერია პეტიციაში, რომლითაც ქართველი მწერლები პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს მიმართავენ.

სფეროს წარმომადგენლებს, რათა გავაცნოთ ფონდის სამომავლო გეგმები, მოვისმინო მათი წინადადებები და ერთობლივი ძალისხმევით გავაკეთებთ ეროვნულ საქმეს“, – ამბობს ის.

რა იძლევა გარანტიას, რომ ეს სტრუქტურა იქნება უფრო მოდერნიზებული, ვიდრე წიგნის ცენტრი და მწერალთა სახლი იყო? – კითხულობს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე გვანცა ჯობავა:

„გუნდმა გააკეთა ფრანკფურტის პროექტი, რომლის მსგავსიც საქართველოში არ ყოფილა. ამის შემდეგ როცა ამბობ, რომ კიდევ უფრო მოდერნიზებულ



20 ივნისს თანამდებობიდან გაათავისუფლეს ორივე სტრუქტურის ხელმძღვანელი დეა მეტრეველი და ნატაშა ლომოური.

დეა მეტრეველი, წიგნის ეროვნული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი, რომლის „კისერზეც“ გადაიარა ფრანკფურტის ზაზრობამ, ამბობს: „დაგვირდნენ, რომ ჩვენ გუნდებთან ერთად ვიქნებოდით ახალი სტრუქტურის ფორმირებაში ჩართულები, ეს პირობა დაირღვა... გადავხედე ახალი ორგანიზაციის დებულებას და ძალიან ბევრი კითხვა მაქვს. ძალიან ბუნდოვანია გარკვეული ასპექტები“.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს, რომ რეორგანიზაცია განხორციელდა „კულტურის სტრატეგია 2025-ის“ შესაბამისად, რომელიც ევროკავშირის ექსპერტის ტერი სანდლერის რეკომენდაციების მიხედვით შეადგინეს. ტერი სანდლერი თავის დასკვნაში წერს, რომ სამინისტროს 86 სსიპი აქვს, რაც ძალიან ბევრია.

ლიტერატურის ეროვნული ფონდის ახლად დანიშნული დირექტორი ირმა რატიანი აცხადებს, რომ ფონდი, უკვე არსებული და დამატებული ფუნქციებით, ისევე მწერალთა სახლში დაიდებს ბინას. ამასთან, ორივე სსიპის თანამშრომლების რესურსი ბოლომდე იქნება გამოყენებული.

„მე ვეგვხდები თითოეულ მწერალს, ამ

სტრუქტურას ქმნი, ძალიან დიდი გამოწვევაა და კონკრეტული კონცეფცია მაინტერესებს. ან რატომ არ მოინახა ამ მოდერნიზებულ სტრუქტურაში ადგილი ორი წარმატებული პროექტის ხელმძღვანელებისთვის?“

მისივე თქმით, ფრანკფურტის ფესტივალის შემდეგ უამრავი ქვეყნიდან წამოვიდა შემოთავაზება. 2022 წელს საქართველო საფრანგეთის წიგნის ბაზრობაზე სტუმრის სტატუსით წარდგება. ამ გამოწვევებისთვის პასუხის გაცემა ახლა უკვე ლიტერატურის ეროვნულ ფონდს მოუწევს.

„ტრიუმფი იყო და არა მხოლოდ გერმანიაში, სხვა ქვეყნებსაც გადაედო ეს ყველაფერი. შეფასების უნარი ხომ უნდა გქონდეს, რომ არსებობს ასეთი საქმის კეთების პოტენციალი. ეს მხოლოდ ლიტერატურას კი არ მოხმარდება, ეკონომიკასაც, ტურიზმის მაჩვენებელსაც შეცვლის. გაიხედონ, ქალაქში რამდენი გერმანელი ტურისტია ჩამოსული“, – ამბობს გვანცა ჯობავა.

აღსანიშნავია, რომ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, შარშანდლთან შედარებით, გერმანიიდან ჩამოსული ტურისტების 32-პროცენტია ზრდა აღირიცხა (ლაპარაკია 2018 წლის 5 თვისა და 2019 წლის 5 თვის მონაცემებზე).

**თაბა თოფურია**

### გარდაცვალების ყველაზე გავრცელებული მიზეზები

2018 წელს საქართველოში 46 524 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის 23 836 მამაკაცი და 22 688 ქალი. ინფორმაციას ამის შესახებ საქსტატი აქვეყნებს.

უწყების მონაცემებით, გარდაცვალების ყველაზე გავრცელებული მიზეზი სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებია. ამ მიზეზით დაღუპულთა რაოდენობა – 21,549 ადამიანი, წინა წელთან შედარებით 1700-ითაა გაზრდილი. გარდაცვალების მიზეზებს შორის მეორე ადგილზეა სიმსივნეები, რაც 2018 წელს 7 329 ადამიანის დაღუპვის მიზეზი გახდა (წინა წელს 7 095).

### გუდაურში საზაფხულო სეზონი 29 ივნისს გაიხსნება

გუდაურში საზაფხულო სეზონი 29 ივნისს გაიხსნება. ინფორმაციას ამის შესახებ „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ ავრცელებს.

ზაფხულის სეზონზე კობი-გუდაურის საბაგიროები ყოველდღიურ რეჟიმში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე იმუშავებს.

„მთის კურორტების განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის აუცილებელია, ზამთრის კურორტები გახდეს ოთხსეზონური. სწორედ ამ მიმართულებით კურორტზე ფუნქციონირებს საერთაშორისო დონის 5000-მეტრიანი ველილიტი, რომელიც გათვლილია, როგორც პროფესიონალი ველომობილეებისთვის, ასევე მოყვარულებისთვის“, – ნათქვამია „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ ინფორმაციაში.



ისმ ამოყვეს თავი ორმოცემა ჩაბუდებულმა, იქიდან, პირდაპირ სახელისუფლო სკამებზე დასხდომა სურთ. იციან გემო იმ სკამებისა და ამიტომაც სულ ეს აზრი უტრიალებთ თავში. რამდენჯერაც ქარი წამოუბერავს, მაშინვე დამარჯვებულად, არიქა, ამ ჩვენმა ბედოვლათმა მთავრობამ მარცხნიდან დაუბერაო... ვინ იცის, ვინ საიდან უბერავს, მაგრამ შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ, ამ ქვეყნის მმართველობაში მიზეზების პოვნას რა უნდა და, იწყებენ ჩამქრალი ვულკანის ჩხრეკას, იქნებ, ამოვფრქვიოთო. ასეა თუ ისე, ოდნავ წინასწარ და ვულკანურ სიფათებს აცილებულ ქვეყანას, კვლავ უკან აბრუნებენ. არიქა, მტერი შემოგვპარვია, სასწრაფოდ გავდევნოთო და იმას კი ვერ აცნობიერებენ, რომ ყველაზე დიდ მტრობას თავად უწევენ საკუთარ ქვეყანას! ასე იყო ახლაც, მაგრამ მანამ, ისიც გავიხსენოთ, რაც იყო წინა დღეებში.

ყოველივე ამას ხალხისთვის, ქვეყნისთვის. კი ბატონო, იქნებ მოაქვს კიდევ „რალადა სიახლე“, მაგრამ ასე ქვეყნის ეკონომიკას ნამდვილად ვერ გავაძლიერებთ, ხალხს ვერ გავამდიდრებთ... არადა, ვისაც სამშობლო, უყვარს, ვისაც ოჯახი უყვარს, იმან უნდა იცოდეს, ჩვენი ღარიბი ქვეყნისთვის რა არის დღეს საჭირო – ცოდნა, განათლება, ეკონომიკის აღორძინება. ეს ყველაფერი კარგი,

განცალკევებული ჯგუფი, როგორ, თქვენ ადამიანები არა ხართ?

ლგბტ-ულებსა და ეგრეთ წოდებულ „რინდების მარშელთა“ დაპირისპირებით მიღებული ემოციები ხალხში ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი, რომ კიდევ უფრო დიდი უბედურება წამოგვეწია. უბედურება მართლაც ეს არის! იგი ოცი ივნისის საღამოს დაიწყო, ეს იყო დემონსტრაცია, რაც მართლმადიდებლობის საპარლამენტაშორისო ასამბლეაზე ჩამოსულ რუსეთის „დუმის“ დეპუტატ სერგეი გავრილოვის სტუმრობას და საქართველოს პარლამენტში პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე მის თავსხედურ მოკალათებას მოჰყვა. რუსი დეპუტატი ქართული მიწების ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენელია, აფხაზეთისა და, ეგრეთ წოდებული, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ამლირებელი. რა სინდისით ჩამოვიდა საქართველოში, ან ვინ მოიწვია ნეტავ? თავი შეურაცხყოფილად იგრძნო ქართველმა ხალხმა და, ბუნებრივია, გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია, მაგრამ, ჩვენ რომ აქვე გვეყვანდნენ მტერი და პროვოკატორი (მტრები და პროვოკატორები), განა ეს არ უნდა ვიცოდეთ? უკმაყოფილოთა შეკრებას კი არადა, ბუნების ჩვეულებრივ მოვლენას – ჭექა-ქუხილსაც კი სათავისოდ, ანუ მთავრობის ჩამოსაგდებად გამოიყენებენ ბნელ „ორმოცემა ჩაბუდებულნი“. ოკუპანტის „სტუმრობით“ განაწყინებული ხალხი „უნიათო“ მთავრობის წინააღმდეგ მოწოდებებით კიდევ უფრო აღაშფოთეს, ალაგზნეს და პარლამენტში შესაჭრელად დაძრეს. ეს უკვე აშკარა ბუნტი იყო, პარლამენტის შტურმით ალება გადანწყვიტეს...

# სამშობლოს მტრობენ და პერს სვდებიან!..



მთელი საქართველო დაძაბული უყურებდა ამ მოვლენას! განა ჩვენს ქვეყანას ბუნტი, რევოლუცია და მთავრობის გადატრიალება აკლია? და რა მოუტანა ასეთმა უთავბოლო აფეთქებებმა ქვეყანას, ხალხს? სანამ უნდა ვიართო უკან-უკან, ხომ ვიცით, რომ უკან უფსკრულია? და, სწორედ, იმ უფსკრულისკენ მიათრევედა ეგზალტირებულ ხალხს ნაციონალური მოძრაობა. მანამ არ მოისვენეს, სანამ თავის თავს არ დაიმტკიცა დღევანდელი უსაფრთხოების სახელმწიფო ორგანოები. თუმცა, საკითხავი და გასარჩევია, მართლა დაიმტკიცეს თუ არა! უნდა ითქვას სიმართლე, რომ საშრობოება იზრდებოდა მთავრობის დამხობისა და პარლამენტში შეჭრის მოწოდებების ფონზე. ვინ იცის, რა მოხდებოდა. ასეთ მოწოდებებს კი უშურველად გაჰყვიროდნენ ორმოციდან ამობობლებულნი... ნეტავ ვის ეშუქებოდნენ, ვის ებრძოდნენ? საქართველოდან თავდაღწეული, პატივცემული გავრილოვი უკვე კრემლში თავის გმირობაზე ტრიახობდა და ტელევიზიით სიაშოვებებით უყურებდა ერთმანეთს სანაკიბულ, თავპირდასისხლებულ ქართველებს.

როგორია, როცა საკუთარ ხალხს, საკუთარ სამშობლოს მტრობ და ვერც ხვდება!



ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგინყენიაო? – ხომ სვამდა ასეთ კითხვას ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ საუკუნე ნახევრის წინათ. დიხს, ვის არ ახსოვს ეს შესანიშნავი ლექსი. განა არ იცოდა დიდმა მოაზროვნემ, რად იყო მისი ქვეყანა მოწყვნილი, დადარდიანებული? იცოდა, მაგრამ მაინც შეუძახებდა ხალხს, ნუ მოინყენო, ანმყო თუ არა გვეყალობს, მომავალი ხომ ჩვენიაო... და თავად, მუხლჩაუხრელად, სამაგალითოდ იღვწოდა სამიედო მომავლისთვის, თავისივე ეპოქის განათლებულ, თავდადებულ მამულიშვილებთან, ეგრეთ წოდებულ თერგდალეულლებთან ერთად. რა არ გააკეთეს, რა არ იღონეს მათ, რომ გადაგვარებისა და გადაშენების პირას მისული ერი კვლავ გაეცოცხლებინათ, აღედგინათ და მომავლის იმედით განემსჭვალათ.

კარგა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ, სამწუხაროდ და საუბედუროდ, ბედის ტრიალმა თუ ჩვენივე ბედოვლათობამ, კვლავ უკან დაგვავბრუნა და თითქმის იგივე მდგომარეობაში ჩავგვადო... კი, მართალია, დროთა განმავლობაში ბევრნაირ მტერს გავუძელით და გადავრჩით. ნამდვილად სასწაული რამ ხდება ჩვენს თავს – 21-ე საუკუნეში შესულ ჩვენს ქვეყანას ზუსტად მისეადაგება დიდი ილიას სიტყვები, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს არის დაწერილი და მოწოდებული, ზუსტად კი არა, ახლა უფრო მეტადაც გვეკუთვნის ილიას შემოძახილი... ასე თუ არ არის, მაშ, რა დაგვპარვინია, რატომ არის უპატრონოდ მიტოვებული ქართული საყდრები, რატომ გვედავებინა ჩვენი წინაპრის სისხლით და ძვლებით გაპოხილ, ბარაქიან ქართულ მიწა-წყალს მავანნი. რა უნდა თქვან ჩვენმა, ერთ დროს ცაში ატყორცნილმა, უღამაზესი ქართული არქიტექტურით დამშვენებულმა, ან ჩამონგრეული ტაძრების კედლებმა და ქვებმა, რა უნდა ილაღადონ, თავი როგორ დაიცვან, თუ მათ წინ ხალხით, თავად ჩვენ არ დავდგებით, განა მხოლოდ ღალადით, ან დროშების ფრიალით, არამედ ტაძრების აღდგენით, საზღვრების შემოფარგვლით, ხალხმრავლობით, შრომით, გარჯით და, რაც მთავარია – ცოდნით და განათლებით. სამწუხაროდ, რომელ მწუხარებას შეედრება ის ამბავი, რაც ჩვენ გვჭირს, სად არის ან ცოდნა, ან განათლება, ან ყველაზე მთავარი და უპირველესი – თავად ხალხი! სად გაცვენიალან, სად წასულან, რად მიუტოვებიათ მიწა-წყალი, რად გაუჩანაგებიათ ერთ დროს აყვავებული ბაღ-ვენახი... ვის მოვთხოვოთ პასუხი? არა მგონია, მხოლოდ მთავრობას. ყველა, ყველა, თითოეული ჩვენგანია პასუხისმგებელი იმისა, რაც თავს დაგვტყვია. და ვგრძნობთ

კი ამ პასუხისმგებლობას! ვგრძნობთ კი არა, პარლამენტარებიც კი, ქვეყნის უმაღლეს ორგანოში ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები, არხინად სხედან და თუ რამ საჭირობოროტო საკითხი წამოჭრის რომელიმე მათგანი, იმ წუთიდანვე იწყება... რაც იწყება! სამოქმედო გეგმის დასახვა კი არა, ერთმანეთის მიმართ ხელის გაშვერა, უაზრო დაპირისპირება, სმაური, შეურაცხყოფა და ყველაფერი ის, რაც მტერს აწყობს. თავისუფლები და დამოუკიდებლები ვართო, – გავიძახით. ღმერთო ჩემო, ვის ვატყუებთ, საკუთარ თავს? არა, ჩემო ბატონო არა, თავისუფლები მაშინ ვიქნებით, როცა საკუთარ მიწაზე შრომას ვისწავლით, როცა გვეცოდინება, რომ ეს მიწა ჩვენია, ჩვენი სამშობლოა, როცა გვეცოდინება სამშობლო მიწის ფასი და სიყვარული, როცა ჩვენ, თითოეული ჩვენგანი იქცევა მოქალაქედ, იაზროვნებს საკუთარი თავით, შექმნის, გააკეთებს და იზრომებს უანგაროდ, საკუთარი პიროვნების ღირსების შეგნებით და არა ვიღაც სხვათა დირექტივებით, გრანტების მოპოვებაზე აქცენტრირებით. როცა გააცნობიერებს თავის მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. საით მივდივართ, რას მოუტანს უცხოთა ნაბაძვით, უცხოთა მიერ ნაკურნახევი, მათივე ნაქვებებით (დაფინანსებითაც!) ზეიმების, აღლუმების მოწყობა, რა სარგებლობა მოაქვს

მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა რეალობის წინაშე დაგვავყენეს. უკვე არსებობს განსხვავებული ორიენტაციის ადამიანთა გაერთიანებული ჯგუფი, მათ ოფისიც აქვთ, მომხრეებიც ჰყავთ. ჯერჯერობით, დღეს ყველგან, ყველა სახელმწიფოში, დემოკრატიულში თუ არადემოკრატიულში, სამართალდამცავი ორგანოები ფუნქციონირებენ... საზოგადოებას სჭირდება დაცვა სხვადასხვაგვარი ძალადობისა და უზნეობისაგან, ოღონდ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვიჭირს, გავარჩიოთ და გამოვყოთ ზნეობა უზნეობისაგან. თითოეულ ქვეყანას, ხალხებს თავისი არსებობისა და განვითარების სხვადასხვა ისტორიული გზა აქვთ განვლილი, სხვადასხვა ზნე-ჩვეულება ახასიათებთ. ბოლოს მიწა ვთქვა, რომ ჩვენ, უძველეს ხალხს, დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე და ევროპისა და აზიის საუკეთესო ნიშნების მატარებელ ვრს, ჩვენი შეხედულება რომ გვეკონდეს მორალზე, ეს სხვა ხალხებს არ უნდა უკვირდეთ. არ უნდა გვაძალადებდნენ, გინდა თუ არა ასე და ასე მოიქცეითო. არადა, ლგბტ-ელებს საკმაოდ ბევრი „დამცველი“ გამოუჩნდა, რომელთაც უკვირთ ქართველი ხალხის რეაქცია ლგბტ-ელების გამოხდომებზე. მე კი ჩემდათავად ვიტყვი, ლგბტ-ელებო, რატომ ინსხვავებთ თავს ადამიანებისაგან, რატომ შექმენით

## ნიკა მელიას უფლება-მოსილებს შეჩერების საკითხი დღეს საკითხი დღეს არ ღამდგარა!


ნიკა მელიას უფლებამოსილების შეჩერების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, – ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა განაცხადა. როგორც ანრი ოხანაშვილმა აღნიშნა, არც პარლამენტს და არც სასამართლოს ნიკა მელიას უფლებამოსილების შეჩერების საკითხზე არ უმსჯელია. „სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების კონკრეტული სახეობა გამოიყენა და კონკრეტული ვალდებულებები დააკისრა. მელია ვალდებულია, შეასრულოს სასამართლოს განჩინებით დაკისრებული ვალდებულებები. შესაბამისად, მისი უფლებამოსილების შეჩერების საკითხი ჩვენ ამ ეტაპზე არ განვიხილავს. ამ ეტაპზე მელიას უფლებამოსილების შეჩერების საკითხი დღის წესრიგში არ არის. შესაბამისად, ნიკა მელია ვალდებულია, დაექვემდებაროს სასამართლოს განჩინებით განსაზღვრულ და დაკისრებულ ვალ-



## ნიკას ატანილი ნიკანდროს ჰნეზანი

ნიკა მელია არ აპირებს რომ სასამართლოს გადანყვტილების მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანოში სიტყვით გამოსვლის უფლება შეიზღუდოს. მისი თქმით, თუკი მას იმის გამო დააკავენ, რომ დეპუტატმა სხდომათა დარბაზში მოხ-

დებულებებს ამ ადამიანს როგორც კი ჩაბარდება განჩინება, ვალდებულია, შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს მიმართოს და სამართალდამცავი ორგანო განჩინებაზე დაყრდნობით იმსჯელებს, რა უფლებამოსილებას მიანიჭებს მელიას, გამოცხადდეს თუ არ გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტში, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა. სენება წაიკითხა, მმართველი გუნდი კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. „გუშინწინ მუშტებს მიქნევდნენ, ხელებს მიქნევდნენ და მეუბნებოდნენ, რომ დასაჭერი ხარ. დღეს კიდევ უფრო დაბნეული და ჩაფიქრებული არიან და პოლიტიკური დონეჯის პოზა აქვთ, ასე დგანან და არ იციან, რა გააკეთონ. ეს არ არის მთავარი, მთავარია, რომ მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. ვივლი პარლამენტში, როგორც მინიმუმ. წარმოიდგინეთ, დილით ავდგები, გავიკეთებ პალსტუსს, ჩავიცვამ პიჯაკს, მივალ პარლამენტში, გამოვად სიტყვით და დამაპატიმრებენ? ცივილიზებულ სამყაროს რას ეტყვიან, რომ გამოცხადდა პარლამენტარი, წარმოთქვა სიტყვა, ეს არის გირაოს პირობების დარღვევა და უნდა ნავიციე, ციხეში? სადაც არ უნდა გაიხედონ, ყველგან თავი მოეჭრებათ. იმიტომ, რომ ბოროტი განზრახვა ჰქონდათ და ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. აბსურდულ სპირალში არიან შესული,“ – განაცხადა ნიკა მელია. ნიკა მელია პროკურატურის გადანყვტილებასაც გამოეხმაურა იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდების მხარე აპირებს საქალაქო სასამართლოს გადანყვტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს. მისი თქმით, თუ სააპელაციო სასამართლო მას გირაოს პატიმრობით შეუტვლის, ეს ხელისუფლება თავს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ველარ გამართლებს.



რატომ უნდა დაგვიჩრდეთ, სანამ ვიფიქრებთ?..

302

რეალურად სიურნეალიზმი კიდევ სიურნეალიზმი თუ არა?

303

სამსახურად, იმ ეპოქაში აღარ მოგვიხდებოდა ცხოვრება, როცა აღმოჩნდებოდა, რომ დროის ჩვენებური სათვალავი თურმე მცდარი ყოფილა, და სულაც არ ვგერდებოდით.

304

გემრიელი მებრძოლი მტერი გამიხდა, გემრიელი მტერი დამიმეგობრდა, მხოლოდ გულგრილი დარჩენილი დარჩენილი ჩემი ერთგულნი.

305

დღე, ბრძენებს ითამაშონ თვალხუტობანა!

306

ჩვენს აფრებს ჩვენვე დაუბრუნავთ!

307

კაისრებს ჩვეულებრივ მებრძოლები ხოცავენ იმიტომ, რომ მტრები არიან.

308

ცარიელი დაბეჭდილი კონვერტიც საიდუმლოებას შეიცავს.

309

მეცნიერებს კი დაეფლა, მაგრამ ვერ გაანაყოფიერა.

310

მეცნიერების მიტანა ულამაზოა, როცა სავსებით დარწმუნებული ხარ.

311

სანამ ქარი არა ქრის, საქარესაც თავისი ხასიათი აქვს.

312

თუ უცხო ენა არ იცი, ვერასოდეს ჩახვდები უცხოელის ღუმელს.

313

გვერდები ქამბალასაც აქვს.

314

ნუ გაანაყოფიერებ გონებრივ უღაბნობებს.

315

თქვით ხბოს ტვინმაც კი იცის, როგორ უნდა ჩაუგებრიელოს ადამიანს ყელი.

316

ქვეყნიერების შექმნის შემდგომ გაჩნდა მრავალი რამ შესაქმნელი.

317

მიყვარს ნაგერალა კაცი, ანუ ვინც იქ ამოდის, სადაც არ დაუთესიათ.

318

როცა მითი სინამდვილედ იქცევა, ვისი გამარჯვებაა – მატერიალისტებისა თუ იდეალისტებისა?

319

ყოველი კვერცხიდან კოლუმბი არ იჩეკება.

პალენდრის რეფორმა ფეხმძიმობის ვადას არ ამოკლებს.


325

მცირეწლოვანი დამნაშავეებს გაურკვეველი მომავალი აქვთ. იმათგან შეიძლება, რომ წესიერი ხალხიც დადგეს.

326

დაუპარსხნელი აზრები

ყურდით ადამიანის სერშია, ამიყომ სშიხარ უნდა ვიბანდეთ სერებს



ასე აბუღა სტანისლავ უში ლევი

მართლად გადმოაინა გურამ გოგიაშვილმა

მორწმუნე ვარ თუ არა? მართლად ღმერთმა უწყის. ცხადია, წინა განსჯაც.

327

პაციფიზმითა შორის ნეტავი თუ არიან ვეგეტარიანელები.

328

ყველა აბელს როდი შეუძლია საკუთარი კანის ყოლა. ზოგს საერთოთი უხდება დაკმაყოფილება.

329

არა მგონია, თევზი მუნჯად დარჩენილიყო, ჩვენოდენი საიდუმლოება რომ იცოდეს.

330

ყოველ მწვერვალზე უფსკრულის პირას ვდგავართ.

331

შეიძლება რომ კაცი ყალბი დაკვრის ვირტუოზი იყოს.

332

პურიტანულმაგამ ორი ლედვის ფოთლი უნდა ატარონ – თვალეზზე აფარებული.

333

მინც იმ საწოლში იღვიძებს, რომელშიც არ დაწოლილა, მაშინვე უნდა შეამოწმოს, მართლა თვითონ არის თუ არა.

334

მან ცხოვრება შუაზე გადაიმსხვრია. და ახლა ორი ცალ-ცალკე ფრიალ სასიამოვნო ცხოვრება აქვს.

335

ადამიანი მით უფრო მეტად ფასობს, რაც უფრო მეტს იხდის.

336

თავში ათასნაირი აზრი დაძრწის. ზოგიერთი გარეთაც გამოდის.

337

დიეტაზე ყოფნა ზოგჯერ სულისთვისაც მარგებელია.

338

ღმერთს ნუ შკობხავ, როგორ მოგხვდეს ცაშიო, – ყოველთვის ძნელ გზაზე შეგაყენებს.

339

ჩვენი თვალსაზრისები ერთმანეთს ემთხვევა. საკითხავი მხოლოდ ის არის, ვისი ვისაც ემთხვევა.

340

საკუთარ თავს შეიძლება რომ პირდაუღებლადაც მიაფურთხო.

341

როგორ ვთარგმნოთ ამოხვრია სხვა ენაზე?

342

სიცოცხლე ყველას როდი შეგნის.

343

უმჯობესია, რომ სულის პროტეგი უჩინარი იყოს.

344

თუ ერთ სულ მოსახლეზე ნახევარი სული მოდის – მაღალი დონეა.

345

სულაც დროის სხვა სათვალავი ხომ არ მოვიგონოთ, რათა XX საუკუნეში არ ვიმყოფებოდეთ?

346

გზის მაჩვენებლები ადგილზე დგანან.

347

ნამდვილი ჭორი არასოდეს არ უნდა დადასტურდეს მთელი ასი პროცენტით.

348

ტროგლოდიტი არ იყო ტროგლოდიტი. ის იმ დროის ცივილიზაციის დონეზე იდგა.

349

სინარულით რომ შეხტები, ფრთხილად იყავ, ემანდ ფეხქვეშ ნიადაგი არ გამოგაცალონ.

350

ყველაფერი ილუზიაა,

351

ჩემი ცხოვრების გზაზე ისეთ ადამიანებს შევხვდებივარ, რომელთაც ჩვეულებრივ სხვა ადგილებშიც ვხვდები.

352

მინც ეკითხება თეზას და ანტითეზას, გინდათ თუ არა სინთეზად გახდეთ?

353

გოლიათმაგამი ქონდრისკაცობას ესწრაფე, ქონდრისკაცებში – გოლიათობას, მაგრამ თანასწორებთან თანასწორი იყავი.

(ბაბრქალაბა იქნება)





# ქრემლის მორიგი უზუზური გზავნილი:

## გავრილოვი საქართველოში ომს არ გამოცხადებს

აზარბაიჯანთან ურთიერთობის დაკავშირებით, ნეიტრალიტეტის თემის წამოწევა, გავრილოვის დემაგოგიური და სხვ. ამას თავისი გაბრაჟებაც ეძლეოდა, რომ არა ჩვენი მშვიდობიანი გზები!

ქრემლი საქართველოს მისამართით მორიგ პროპაგანდისტულ გზავნილს ავრცელებს. კერძოდ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კომუნისტური დეპუტატი, საქართველოდან გაძევებული სერგეი გავრილოვი საქართველოში ვითარების გაუარესებას პროგნოზირებს და ქვეყნის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დაწყებას არ გამოცხადებს.

„გავრილოვი“ საქართველო, რათა თავისი ქვეყნით, სამაგალითოდ „დასაჯოს“ ურჩი ქვეყანა. არაფერი გამოუვათ. თუ ჩვენ ვიქნებით კონიერები და რელიგვიანტურები, უკვე ვეღარ გაიმეორებენ 90-იანი წლების სიტუაციას, როდესაც არიეს და უკან დახიეს საქართველო. მას შემდეგ, როგორც ვერ, გავიზარდეთ. არც ისე ადვილია ერთად შეკრული ერის გატყვევა. ახლა ჩვენ გავდივართ დასავლეთთან დაახლო-

ების იმ გზას, რაც ბალტიის ქვეყნებმა 90-იან წლებში გაიარეს. რუსული მხრიდან ეს ისტერიული გამოხდომები და ქვეყნის მხოლოდ ადასტურებს იმას, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. ბოლო პერიოდში რუსეთის მიერ დაწყებული შტურმი ქართულ სახელმწიფოზე ადვილი შესაძრევი იყო. ამ გეგმის შემადგენელი ნაწილები იყო: ანაპლიის პორტის მშენებლობის ჩაშლის მცდელობა, ბარეჯის გამო-

„რეგიონისადმი ყურადღება უახლოეს ხანებში გაიზრდება. ომი ახლო აღმოსავლეთიდან შესაძლოა, საქართველოს გადაედოს. ამიტომაც ქვეყნიდან რუსი ტურისტების გაყვანა უსაფრთხოების უზრუნველესი ზომაა. ვითარება იმგვარად შეიძლება, განვითარდეს, რომ ეკონომიკური დანაკარგების საკითხი მეორეხარისხოვანი აღმოჩნდება და წინა პლანზე ჩვენი თანამემამულეების სიცოცხლის შენარჩუნების ამოცანა გადავა, ეს კი ჩვენი ქვეყნის არა საგარეო, არამედ საშინაო საკითხია“, — განაცხადა გავრილოვი.

პროფესორ ზურაბ პატილაშვილის შეფასებით, გავრილოვი რუსი ჩინოვნიკების მიერ არაერთხელ ნაცად ხერხს მიმართავს: „გავრილოვი ახალს არაფერს აკეთებს. მისი მიზანია, მაქსიმალურად



ამ რუსული შტურმის ავტორი იმაში შეცდა, რომ დაგეგმვისას ვერ ან არ გაითვალისწინა ქართველთა ეროვნული ფსიქოლოგია და ისტორია. ჩვენს ისტორიაში ოდნავ მაინც თუ ჩაიხედავდა, დაინახავდა, რომ რაღაც მომენტამდე ქართველი შეიძლება მიამიტი და ძალიან მომთმენი ჩანდეს, მაგრამ როგორც კი საქმე ფუნდამენტურ საკითხებს ეხება, თითოეულ ქართველში მაშინვე ინსტინქტურად ილვიძებს ბახტრიონის აჯანყების მომწყობთა სული, რომელიც მზადაა, დედან ულიანად წააღებოს მტერი.

ჩვენ ცივილიზაციური არჩევანი IV საუკუნეში გავაკეთეთ და 15 საუკუნის განმავლობაში ამისთვის დიდი ფასიც გადავიხადეთ. XXI საუკუნეში ჩვენს არჩევანს ვერაფერს შეგვაკვლევიან. რუსეთის მცდელობა, შემოაბრუნოს ისტორიის მსვლელობა, კრახისთვისაა განწირული. მითუმეტეს, გლობალურ მასშტაბში იგი დაღმავალი და მიღვევადი ძალაა. ჩვენ რაც გვევალება, არის ის, რომ ვიყოთ პრინციპულნი, მაგრამ ამავე დროს მაქსიმალურად მშვიდობიანი და კონსტრუქციული.

ნაკლებად უნდა ვინერვიულოთ, რას იფიქრებს ჩვენზე პუტინი. ჩვენ ჩვენი ქვეყანა უნდა ვაშენოთ თავისი ხარისხიანი ნათლების სისტემით, დამოუკიდებელი სამართალით, სამართლიანი არჩევნებით, სახელმწიფო მართვის გამართული სისტემით, დამოუკიდებელი მედიით, დემოკრატიითა და ადამიანის უფლებების დაცვით. ამისთვის კი საჭიროა მუდმივი შრომა, სწავლა, პატიოსნება და თავდადება. ეს თუ შევქელით, დანარჩენი (ნატო, ევროკავშირი და ა.შ.) უკვე თავისით მოვა“.

# ანდრეი მარკოვი: რუსეთი კვლავ თავს ირცხვენს! ქართველებო, ყოჩაღ, თქვენ სწორ გზას ადგახართ!



თავისუფალი რუსეთის წარმომადგენელი, იუთუბ-არს „ლინსპის კულტურის“ მთავარი რედაქტორი ანდრეი მარკოვი საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება, რუსეთის დესტრუქციულ პოლიტიკას გამოხსნის და ქართველების პროტესტს მხარდაჭერას უცხადებს.

არა მარტო კომუნისტები, არამედ ისინიც, ვინც პარლამენტში ეს არამზადები შემოუშვა, და არა მარტო აღარ დაფუძვალეს ეს ქართველი დემუტატები პარლამენტში, არამედ დასაჯეთ კიდევაც ისინი, რადგან მათ პასუხი უნდა აგონო...“, ეს მხოლოდ მისაბაძი უნდა იყოს რუსეთის დღევანდელი საზოგადოების თავისუფალი ნაწილისთვის! ასევე უნდა მოგვეთხოვა პასუხი იმ არამზადებისთვის, რომლებმაც თავის დროზე რუსეთის პარლამენტში უფო ჩავესის გამოვლა დაუშვეს! სამწუხაროდ, მოსკოვის ქუჩებში მაშინ არავინ გამოსულა, ორი-სამი ინტელიგენტის გარდა...

ზე ელცინმა ლუსტრაცია არ ჩატარა, არ გაუსამართლებიათ კომუნისტები.

რატომ არის საქართველოში და უკრაინაში ესოდენ უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ? — იმიტომ, რომ ისინი, ისევე, როგორც, ყველა სხვა რესპუბლიკა, დიდი საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში ძალიან და სისხლით შეათრეეს. ეს იყო დიდი იმპერია და ეროვნული რესპუბლიკები ამ იმპერიის კოლონიებს წარმოადგენდნენ. დიას, შესაძლოა, მათ ოდნავ უკეთ უზრუნველყოფდნენ, ვიდრე რუსეთის ცენტრალურ ნაწილს, მაგრამ მხოლოდ ოდნავ და ისიც — მხოლოდ იმისთვის, რომ საპროტესტო მუხტი არ ანეულიყო. დარწმუნებული ვარ, ეს ეროვნული რესპუბლიკები რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არ ყოფილიყვნენ, საბჭოთა ხელისუფლებას რომ მათზე არ დაედა ის სოციალისტური „სპექტაკლები“, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იშუშავა, ისინი დიდი ხნის წინათ ბევრად უკეთესად იცხოვრებდნენ, ვიდრე დღეს!

ვაქტობრივად უფასო მუშახელია. და ეს არც არის გასაკვირი, ეს მხოლოდ მორიგი დასტურია იმისა, რომ სოციალიზმი მონურ შრომაზე დგას და უკიდურესად არაეფექტურია.

ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები რომ საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში არ შეეთრიათ და მათ დამოუკიდებლად გავერძელებინათ განვითარება, ისინი ბევრად უფრო წარმატებულნი და მდიდრები იქნებოდნენ, ვიდრე დღეს არიან. ჩვენ, რუსეთის პატრიოტებს, გული გვტკივა და პასუხისმგებლობას ვგრძობთ იმის გამო, რომ საბჭოთა რუსეთმა თავის დროზე ეს დანაშაული ჩაიდინა. როდესაც დღეს მოსკოველები და რუსეთის სხვა ქალაქების მცხოვრებლები უკაცოფილებას გამოთქვამენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მიგრანტების მოზღვავეების გამო, მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ჩვენი ყოფილი თანამოქალაქეები არიან — დიდი საბჭოთა იმპერიის ყოფილი თანამოქალაქეები და ეს ჩვენ — საბჭოთა რუსეთმა მივიყვანეთ მათი რესპუბლიკები იმ მდგომარეობამდე, რომ მხოლოდ ნახევრად განვითარდნენ. ისინი ჩვენთან ერთად ერთ ადგილზე ბუქნაობდნენ 70 წლის განმავლობაში და ახლა, უკვე დამოუკიდებლობის პერიოდში ბევრად გვიან დაიწყეს განვითარება და სწორედ ამის შედეგებს იხვიან. ჩვენი ხელისუფლება კი ამ ეროვნულ რეს-

„როდესაც რუსი ინტერნეტ-კომენტატორები, პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები საქართველოში „ანტირუსულ მღელვარებაზე“ საუბრობენ, ეს სრული სიცრუეა. საქართველოში არა ანტირუსული, არამედ ანტი-საბჭოთა, იგივე ანტიკომუნისტური, ანტიკომუნალური, ანტიკომუნალური რუსული მღელვარებაა. რადესაც საქართველოს პარლამენტში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კომუნისტი წევრი შედის და სიტყვით გამოსვლას იწყებს, საქართველოს არც ერთი პატრიოტი, არც ერთი ღირსეული მოქალაქე არ დაუშვებს ამას და ვერც მათ აპატიებს, ვინც ეს დაუშვა, რადგან ეს არის შეფურთხება მთელი საქართველოსთვის!

მე მხოლოდ მახარებს, რომ საქართველომ, ქართველმა საზოგადოებამ აჩვენა, რომ ნამდვილად არის ცივილიზებული, თანამდევროვე, ევროპული. ამას ნორმალური რუსი შეიძლება, მხოლოდ მისესალმოს და უთხრას ქართველებს, „ყოჩაღ, თქვენ სწორ გზას ადგახართ!“.

რუსეთში კი, სანამ პარლამენტში კომუნისტები გვიცხვენ, წითელ მოედანზე ლენინი ასვენია, ქვეყანა გადატეხილია ლენინისა და სტალინის ძეგლებით, არანაირი პროგრესი არ გვექნება.

მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სრული დეკომუნისაცია უნდა განხორციელდეს, მადლობა ღმერთს, ეს უკრაინაში და საქართველოში მოხდა და მათ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებმაც უნდა მიზამონ. ძალზე სამწუხაროა, რომ თავის დრო-



# „ბიბისი“: რუსეთი ახსნაღებს, რომ საქართველო უსაფრთხო არ არის!

რუსეთი აცხადებს, რომ საქართველო უსაფრთხო არ არის, საქართველოში მყოფი რუსები საპირისპიროს ამბობენ, — ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას „ბიბისი“ და რუსულ მედიაში გავრცელებულ მოწოდებებს ეხმაურება.

„სახელმწიფო გაფრთხილებს, რომ საქართველოში თქვენს უსაფრთხოებას ვერაფერი უზრუნველყოფს. არ შეიძლება, გაცვალოთ თქვენი ღირსება თბილისში ჩასვლისას ერთ ბოთლ უფასო ღვინოზე“, — ციტირებს „ბიბისი“ „რასია 1“-ის ტელენამყვანის ოლგა სკაბეევას სიტყვებს. აქვე აღნიშნულია, რომ რუსი ჟურნალისტი „უფრო შორს წავიდა“ და საფრთხის შესახებ ამცნო რუს მოქალაქეებს, როდესაც განაცხადა: „საქართველოში რუსებს კლავენ“.

„ბიბისი“ ასევე წერს, რომ რუსეთის პრეზიდენტის რეაგირება, 8 ივლისიდან საქართველოში ფრენები აეკრძალა და შეზღუდვები დაენესებინა ქართული ღვინის იმპორტისთვის, „საკმაოდ სწრაფი იყო“. თუმცა, როგორც გამოცემა აღნიშნავს, საქართველოში მყოფი რუსებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ.

„ჩვენ არ ვუსმენთ პუტინის რჩევას, საკუთარი აზრი გაგვანია“, — ციტირებს შარდენის ქუჩიდან ერთ-ერთ რუს ტურისტს სტატიის ავტორი და ხაზს უსვამს იმ გარე-

მოებას, რომ მასთან ინტერვიუში არც ერთ რესპონდენტს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შეშფოთება არ გამოუთქვამს.

„აქ ჩამოსვლამდე მეგობრებთან გადავამონმეთ და მათ გვითხრეს, რომ სრულიად უსაფრთხოა“, — აცხადებს კიდევ ერთ რუსი ტურისტი. მისივე თქმით, „რუსების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება არ არის, პირიქით, ხალხი ძალიან მეგობრულია და ჩემს შვილს საჩუქრებს ჩუქნიან“.

„ბიბისისთან“ ინტერვიუში რუსი ტურისტები აცხადებენ, რომ პირდაპირი ფრენების აკრძალვით ხალხს პრობლემა შეექმნა, თუმცა რუსეთიდან საქართველოში მაინც ჩამოვლენ მინსკის და ანკარის გავლით. „ბიბისი“ ასევე ესაუბრა ანა დენისოვას, რომელიც ოჯახთან ერთად საქართველოში საცხოვრებლად 2.5 წლის წინათ გადმოვიდა და შავი ზღვის სანაპიროზე სასტუმროს უძღვება.

„აქ 10 წლის განმავლობაში ჩამოვდიოდით და მცირედენი უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენს, როგორც რუსების მიმართ, არ მიგრძნია“, — აცხადებს ანა. „ბიბისი“ მკითხველს უყვება ასევე სოციალურ ქსელ ფეისბუქში დაწყებულ კამპანიაზე #spendyoursummerin-georgia, სადაც საქართველო მხარდამჭერ გზავნილებს იღებს.

# სოხუბა თბილისს და ფაქტო საზღვარი ჩაუკეტა

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საზღვარზე, ენგურის ხიდზე გადაადგილება დროებით შეზღუდა.

ამ გადაწყვეტილების მიზეზად სოხუმი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე „მასობრივ პროვოკაციულ პროტესტს“ ასახელებს.

„იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიის მოსაზღვრე ზუგდიდის რაიონში იმართება პროვოკაციული ხასიათის მასობრივი საპროტესტო აქციები, რომელიც აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობას შეეხება, აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მიერ შემუშავდა და რეალიზდება რეაგირების აუცილებელი ზომების კომპლექსი. მათ შორის ერთ-ერთი ზომა საქართველოსთან აფხაზეთის სახელმწიფო საზღვრის დროებითი შეზღუდვაა“, — ნათქვამია აფხაზური უშიშროების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც დე ფაქტო უწყებაში განმარტავენ, შეზღუდვა შეეხება გადაადგილებას როგორც ოკუპირებული აფხაზეთის, ისე აფხაზეთიდან საქართველოს არაოკუპირებული ტერიტორიის მიმართულებით.

ცნობისთვის: უმთავრესად ქართველებით დასახლებული გალის რაიონის მოსახლეობისთვის საქართველოს არა-

ოკუპირებულ ტერიტორიასთან წვდომა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს. ვაჭრობის, აუცილებელი საქონლისა და პროდუქტების შექმნის საჭიროების გარდა, გაღებები დე ფაქტო საზღვარს აქვთ ხელფასების, პენსიებისა და შემწეობების მისაღებად, ასევე სამედიცინო საჭიროებებისთვის გადმოდიოდნენ, რაც ხშირ შემთხვევაში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წარმოადგენს.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში აცხადებენ, რომ ენგურის ხიდის ნაწილობრივ ჩაკეტვა განიხილება, როგორც მოსახლეობისთვის თავისუფალი გადაადგილების უფლების უკანონო შეზღუდვა.

„აღნიშნული საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ერთმნიშვნელოვნად განიხილება, როგორც მოსახლეობისთვის თავისუფალი გადაადგილების უფლების უკანონო შეზღუდვა, რაც ართულდება ადგილობრივების ყოველდღიურ ცხოვრებას, მიზნად ისახავს მოსახლეობის იზოლაციას და საფრთხეს უქმნის ადგილზე არსებულ უსაფრთხოების გარემოს“, — აცხადებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

მათივე ცნობით, ამ ფაქტის გამო ამოქმედებულია ცხელი ხაზი და ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.



# ოსური ტელევიზიის რეპორტაჟი ზემო ლარსიდან: „სრული სიმშვიდეა, სამგზავრო ნაკადი არ შეშინებულა, 8 ივლისიდან მის ზრდას ელიან“

ბლოკ ღლიებში თბილისში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ოსურმა ტელეარხმა „IRYSTON.TV“-მ ზემო ლარსის გამშვებ პუნქტზე სადღეისოდ არსებული ვითარების შესწავლა გადაწყვიტა. ირკვევა, რომ კრემლის მიერ საქართველოსთვის დაწესებული ტურისტული სანქციების მიუხედავად, ამ დროისთვის რუსეთიდან ნაკადის თვალსაზრისით ვითარება გასული წლის იდენტურია და კლების ტენდენცია ჯერჯერობით არავის შეუნიშნავს — არც ტურისტებს, არც რუს მესაზღვრეებს.

„მესაზღვრეების განცხადებით, ყოველდღიურად ზემო ლარსით საზღვარს 10 000-მდე ადამიანი კვეთს, ერთ კვირაში კი ეს რაოდენობა საგარაუდოდ, 16 000-მდე გაიზრდება. საბაჟო პუნქტზე ტურისტების მოსალოდნელი მოზღვავეებისთვის ზომები უკვე მიღებულია: ამჟამად საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე 15 ზოლია მოწყობილი და უკვე დამატებულია 5 ფანჯარა, ამასთან, წელს გააფართოეს ე.წ. ნეიტრალური ზონაც — გზის ის მონაკვეთი, რომელიც რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიებს აკავშირებს.“

„როგორც სამგზავრო, ისე სატიერთო ტრანსპორტის გადაადგილება ამით მონერსიგდება. ცალკე გამოყოფილია ოთხი ცალმხრივი მიმართულების ზოლი სატიერთო ტრანსპორტისთვის და ცალკე ზოლები სამგზავროსთვის. ყველა პრობა შექმნილი, გვაქვს მყარი საფარი, განათება, საგზაო მონიშვნა“, — ამბობს ერთ-ერთი ოსი მებაჟე.

გარდა ამისა, ე.წ. ნეიტრალური ზონა კეთილმო-



ენყო დასასვენებელი ადგილებით, საფეხმავლო გადასასვლელით, ბიოსაპირფარეშოებით, ნაგვის კონტეინერებით, საზების რაოდენობა კი ორიდან ხუთამდე გაიზარდა.

როგორც მესაზღვრეები აღნიშნავენ, მიუხედავად საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მორიგი გატეხებისა, ტურისტული ნაკადი არ იკლებს, უახლოეს კვირებში კი დატვირთვის მნიშვნელოვანი ზრდაა მოსალოდნელი, ამიტომაც გატარებული ზომები აქტუალურობას არ კარგავს.

„პოლიტიკური პროცესების მიუხედავად, ამ ეტაპზე ჩვენ ვერ ვხედავთ ვერანაირ ცვლილებას მგზავრობა ნაკადის მიმართულებით. ჯერჯერობით ნაკადი გასული წლის ანალოგიური პერიოდის იდენტურია — არც მეტი, არც ნაკლები“, — ამბობს რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმარ-

თველოს ოფიციალური წარმომადგენელი ზემო ლარსზე ანდრეი ბოჩინი.

როგორც ცნობილია, 8 ივლისიდან საქართველოსა და რუსეთს შორის ავიამიმოსვლა სრულად შეწყდება. ამასთან დაკავშირებით მესაზღვრეებს პროგნოზების გაკეთება უჭირთ, თუმცა როგორც ბოჩინი აღნიშნავს, ამ დროისთვის ლარსი მზადაა, მნიშვნელოვნად გაზრდილ სამგზავრო ნაკადთან გასამკლავებლად.

„თბილისშიც ვიყავით, ბათუმშიც, ქუთაისშიც. პირადად ჩვენ ვერც რაიმე საფრთხეს წავაწყდით, ვერც ცუდ დამოკიდებულებას. ძალიან მოგვეწონა. ძალიან კარგი, თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია“, — ამბობს ლარსზე მყოფი კრასნოდარელი ტურისტი ვალენტინა ფილიპოვა. არ წყდება ნაკადი საპირისპირო — რუსეთიდან საქართველოს მიმართულებითაც.

„საქართველოში მყოფი ჩვენი მეგობრებისგან შევიტყვეთ, რომ ადგილზე არანაირი საფრთხე არ არის და ის, რაც რუსულ ტელეარხებზე და სოცქსელებში გვხვდება, მხოლოდ პოლიტიკური პროპაგანდაა, ამიტომაც სწორად შევფასეთ ვითარება და არ შევცვალეთ აქვთ ნამოსვლის გეგმა“, — ყვება ტურისტი დონის როსტოვიდან ტიმურ გოლჩუკი.

ერთი სიტყვით, ზემო ლარსზე სრული სიმშვიდეა და მზადყოფნა ტურისტული ნაკადის ზრდისთვის, რომელსაც 8 ივლისიდან საპარეო მიმოსვლის შეწყვეტის შემდეგ ვარაუდობენ“, — ნათქვამია ოსური ტელევიზიის რეპორტაჟში.

მორე ევროპული თამაშები

ჩაპარდნის სფასური

მომრე ევროპული თამაშების ფინიშზე თითოეულმა მედალმა ოქროს ფასი შეიძინა - ამით ხომ საერთო გუნდურ ჩათვლაში საბოლოო პოზიციის ბედი წყდება.

მართალია, საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ მინსკში გამოსვლა ღირსეულად დაიწყო და კარგა ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა მესამე ადგილს, მაგრამ რამდენიმე ფავორიტის გაუთვალისწინებელი ჩავარდნა საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა - უკვე იტალიამაც გავასწრო უმაღლესი სინჯის ჯილდოების რაოდენობით და უკრაინამაც.



მოგახსენებთ, ოფიციალურ ფორუმებზე უპირველესად „ოქროებს“ ითვლიან და უპირატესობა იმას ენიჭება, ვინც უფრო მეტჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ასე რომ ის ფაქტი, უახლოეს კონკურენტებს მედლების ჯამური მონაგროთ (24-6 „ოქრო“, 7 „ვერცხლი“ და 11 „ბრინჯაო“) ჯერ კიდევ რომ ვჯობნით, მხოლოდ მო-

რალურ სიამოვნებას თუ მოგვანიჭებს.

გუშინ უკვე გაუწყეთ, თუ როგორ გაგვანბილა ზაზა ნადირაძის დაკავებულმა მეოთხე ადგილმა. როგორც გაირკვა, ჩვენს უძლიერეს ნიჩბოსანს ბელარუსის დედაქალაქში გამგზავრებაზე ტრავმის გამო არ უვარჯიშია, ამიტომ უმედლოდ დარჩენას ვინლა ჩივის, ერთადგილიანი კანოეთი ნახევარფინალურ გაცურვაში დაკავებული პირველი ადგილიც წარმატებულ შედეგშია ჩაუთვალეთ.

იგივეს ვერ ვიტყვით გამოჩენილ ფალავან ლადო ხინჩეგაშვილზე, რომელიც თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის, მსოფლიოსა და, რაც მთავარია, ოლიმპიური ჩემპიონია და მისგან ყოველთვის ტრიუმფს ველოთ. სწორედ ამიტომ მივიჩნევთ, რომ მან 65 კილოში იმედები გაგვიცრუა მიუხედავად იმისა, რომ რუსეთელ ახმედ ჩაკაევის დაჩოქების შემდეგ ფინალში ასევე საკმაოდ ტიტულოვან აზერბაიჯანელ მეტოქესთან, სამ-სამგზის კონტინენტის და პლანეტის ჩემპიონთან, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან შაჯი ალიევთან დათმორთაბრძოლა - 2:10. ბევრისთვის მეორე ადგილი შეიძლება მიღწევაა, მაგრამ არა ლადოსთვის, რომელმაც საკუთარი თამას მეტისმეტად მაღლა ასწია.

სამაგიეროდ, მისალოცად აქვს საქმე 97 კილოში მოჭიდავე ელიზბარ ოდიკაძეს, რომელმაც პირველ ევროპულ თამაშებზე ბაქოში მოპოვებულ „ვერცხლს“ ამჯერად „ბრინჯაო“ მიუმატა.

კობა კობახიძე

ლეგიონერი



საბართველოს საკალაბურთო ნაკრების ლიდერი თორნიკე შენგელია ტურისტებს ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობას ურჩევს. მან ინ-

ენციით საქართველოს!

სტაგრამში სპეციალური პოსტი გამოაქვეყნა სამშობლოს სხვადასხვა კუთხეების ფოტოებით და დაწერა, რომ აქ ოთხივე სეზონს თავისი ხიბლი გააჩნია.

„ყველა ის ადამიანი, ვინც ამას ნახავს, მერწმუნეთ, რომ საოცარ დროს გაატარებთ, რომელიც მთელი ცხოვრება დაგამახსოვრდება. ენციეთ ამ ულამაზეს ქვეყანას საოცარი ხალხით, დიდებული საკვებით, ღვინითა და ეგზოტიკური ბუნებით. საქართველოში ხიბლი ყველა სეზონს აქვს“, - დაწერა შენგელიამ. შეგახსენებთ, რომ თორნიკემდე იგივე მენიჯი სოციალური ქსელის მეშვეობით ზაზა ფაჩულიამაც გააუქურა და ტურისტებს საქართველოში სტუმრობა ურჩია.

გაუზან დოლიძე

კობა ამერიკა

ნახევარფინალში - სამადლოდ

როცა ჯგუფურ რაუნდში ბრაზილიამ ვენესუელასთან „მშრალი ზავი“ გააფორმა, ბევრმა ჩათვალა, რომ კობა ამერიკის მასპინძლებმა ტოტალიტატორზე „წაითამაშეს“, მაგრამ, ეტყობა, ტიტეს გუნდი ტრავმირებული ნეიმარის არყოფნაში არც ისეთი მრისხანე ძალა ყოფილა, როგორც პირველი ეტაპის დანარჩენ შეხვედრებში მოგვეჩვენა.

ამაში პლერიოფში ზღაპრულად გასულ პარაგვაისთან გამართულმა მეოთხედფინალმა დაგვარწმუნა, რომელიც ფავორიტმა ასევე 0:0-ის შემდეგ მხოლოდ პენალტების სერიაში მოიგო - 4:3, არადა 58-ე წუთზე სტუმართა დაცვის ბურჯ ბოლბუენის მიმდვრიდან გაქვევების გამო თითქმის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში რიცხობრივ უპირატესობას ფლობდა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ

მეტოქეთა უკანასკნელი ორი ბრძოლა პარაგვაელთა სასარგებლოდ დასრულდა, ასე რომ, გარკვეულწილად „წითელზოლიანთა“ კომპლექსზეც შეიძლება საუბარი.

გიორგი შოთაძე



რაგბი ჩვენი თამაშია!

მსოფლიოს თასზე გამგზავრებამდე სამი თვით ადრე დასახელდა იაპონიაში წამსვლელთა 43-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა, რომელთაგან შეირჩევიან ის „ბორჯღალოსნები“, ვინც ამომავალი მზის ქვეყანაში ჯგუფურ რაუნდში 23 სექტემბერს უელსს, 29 სექტემბერს ურუგვაის, 3 ოქტომბერს ფიჯის და 11 ოქტომბერს აესტრალიას შეხვდებიან.

„შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე დაწყებულ სამზადისს კანდიდატთა გასაჯაროება და მილტონ ჰეიგ - გოჩა სვანიძის ერთობლივი პრეს-კონფერენცია მოჰყვა.

პირველი ხაზი: მიხეილ ნარიაშვილი, კარლენ ასიეშვილი, გურამ გოგიჩაშვილი, გიორგი თეთრაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, შალვა მამუკაშვილი, ვანო კარკაძე, გიორგი ჭყვიძე, ლევან ჩილაჩავა, ბექა გიგაშვილი, ლევან მელიქიძე, ლაშა ტაბიძე;

მეორე ხაზი: გიორგი ნემსაძე, შალვა სუთიაშვილი, კონსტანტინე მიქაუტაძე, ნოდარ ჭყვიძე, დავით გიგაური, გიორგი ქერდიყოშვილი;

მესამე ხაზი: გიორგი თხილაიშვილი, ლაშა ლომიძე, გიორგი ცუცქვირიძე, ბექა გორგაძე, ბექა სალინაძე, საბა შუბითიძე;

№9: ვასილ ლობჯანიძე, გელა აფრასიძე, გიორგი ბეგაძე;

№10: ლაშა მაღალურაძე, ლაშა ხმალაძე, თედო აბუხანდაძე, რეზო ჯინჭველაშვილი;

№12-13: დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე, გიორგი კვესელაძე;

№11-14: ზურაბ ძნელაძე, ალექსანდრე თოდუა, გიორგი აფციაური, მირიან მოდებაძე;

№15: მერაბ კვირიკაშვილი, სოსო მათიაშვილი.

იაპონური კონტურები



მილტონ ჰეიგი - საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალზელანდიელი მთავარი მწვრთნელი: გუნდის შემადგენლობის შერჩევის პროცესი ბოლო 3,5 წლის განმავლობაში გრძელდებოდა - კანდიდატებს ვაკვირდებოდით როგორც კლუბებში, ისე - ნაკრებში, უკანასკნელ წივეში კი განსაკუთრებული ყურადღება ფიზიკურ მომზადებას ექცეოდა.

ჩვენი მიზანია და სურვილიც ერთია - გავიმეოროთ განვლილ მსოფლიო თასზე მიღწეული შედეგი, თუმცა, კარ-

გად გვესმის, რომ ეს ბევრად უფრო რთული იქნება, ვიდრე 4 წლის წინათ, რადგან ფიჯი და ურუგვაი ძალიან ძლიერი მეტოქეები არიან.

საქართველოს რაგბის კავშირის დახმარებით დაგვემატა ორი მაღალი დონის სპეციალისტი, რომლებიც მოსამზადებელ პერიოდში ჩვენთან ერთად იმუშავენ. ინგლისის ნაკრებისა და „ბრიტანელი ლომების“ ყოფილი მორაგბე, ამჟამად „ბორდოს“ სამწვრთნელო შტაბის წევრი ჯო ვორსლი ტექნიკური

მრჩეველი იქნება და ლევან მაისაშვილს დაეხმარება დაცვის ორგანიზებაში - შეეცდება დახვეწოს რაქის დროს მინაზე თამაში, ხოლო ფილ ჰილი ფიზიკურ მომზადებაში შეგვეწევა. მას უფროს ზე რაგბის ახალზელანდიურ კლუბებში, მათ შორის „ჩიფსში“ მოღვაწეობის მდიდარი გამოცდილება უმაგრებს.

რაც შეეხება განაცხადში ზურაბ ჟვანიას ვერმონტედას, მიზეზი მარტივია - მან ვერ აკრიფა სათანადო კონდიციები. არავითარი სხვა მიზეზი არ არსებობს და არც შეიძლება, რომ არსებობდეს. უფრო კონკრეტულნი თუ ვიქნებით, ნაკრების წევრთა 95-მა პროცენტმა წარმატებით ჩააბარა ინდივიდუალური ტესტები, ზურა კი დანარჩენ 5 პროცენტში მოხვდა. სხვათა შორის, იმ შემთხვევაში, თუ მოსამზადებელ პერიოდში მისი პოზიციის რომელიმე მოთამაშე ტრავმას მიიღებს, არაა გამორიცხული, ჟვანია შეერებაზე გამოვიძახოთ.

მორა სმანძიძე - საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი: საბედნიეროდ, ტრავმის ან რომელიმე სხვა მიზეზის გამო დანაკლისი არ გვაქვს. გუნდში ერთსულოვნებაა და ბიჭები ერთი მიზნით არიან განმსჭვალულნი, ეს კი იმ წარმატების წინაპირობა უნდა გახდეს, რასაც იაპონიაში ველოდებით.

ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ მისმა განცხადებამ ჩვენც შეგვაშფოთა და რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს სელექციაში გარეშე პირი ჩაერია, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ პროცესში მწვრთნელთა გარდა არავინ მონაწილეობს, მათ შორის - არც რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ზურა ყველას ძალიან გვიყვარს და ის თავის სიტყვას მალე იტყვის.

ვიტალი ჯაფარიძე

დღესასწაული

სულთმოფენობის მე-2 კვირიაკე  
წმინდა მოწამე შალვა ახალციხელი



მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ აღიარებული წმინდა მოწამე შალვა ახალციხელი 30 ივნისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია იხსენიებს შალვა ახალციხელს.

შალვა ახალციხელი თამარის მხედრობაში ერთგულებით, სიმამაცითა და ვაჟკაცობით გამორჩეული რაინდი და მეომარი იყო (ხსენება 31 იანვარს, 14 მაისს და მენელსაცხებელე დედათა კვირიაკეს). მეფე თამარმა წმინდა შალვას უანგარო მსახურებისთვის მანდატურთუხუცესობა უბოძა და მხედართა შორის მთავრად დაადგინა.

ისიც საგულისხმოა, რომ შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ მან ხალიფას დროშა წამოიღო ნიშნად ქრისტიანობის უძლეველობისა და სხვა უამრავ ნადავლთან ერთად ხახულის ღვთისმშობელს შესწირა.

ნიშნდობლივია ისიც, რომ მეფის ბრძანებით ბასიანის ბრძოლაში (1204 წელს) ქართველთა ძლევა მოხდა მხედრობას მანდატურთუხუცესი შალვა მასთან ივანე ახალციხელთან ერთად წინამძღოლობდა. წმინდა თამარის ასულის, რუსუდა-

ნის მეფობის დროს ჯალალედინი საქართველოში უთვალავი ლაშქრით შემოიჭრა. რუსუდანმა ქუდზე კაცი იხმო და საომრად შეკრებილ ქართველებს მთავრად მოხუცებული იოანე ათაბაგი დაუდგინა. იოანე ათაბაგმა მოწინავე ლაშქრის მეთაურობა სიმამაცით და სიმბნევით გამორჩეულ ორ ძმას, შალვა და ივანე ახალციხელებს დაავალა, თვითონ კი ძირითად ნაწილთან ერთად გადამწყვეტი იერიშის მისატანად დარჩა. დამარცხდნენ ქართველები, ივანე ახალციხელი მოკლეს, ხოლო შალვა ტყვედ ჩაიგდეს და შესთავაზეს რჯულის გამოცვლა.

დიდხანს ცდილობდა ჯალალედინი უსჯულოების კენ მონადირეა ზნესრული რაინდი და, როცა ვერას გახდა, მისი წამებით მოკვდინება ბრძანა. წამების ჟამს ის ამბობდა: „...დავითმინოთ, შალვა, ქრისტესთვის სიკვდილი“.

გიული ლიპარტია

სანთელი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება წიგნისა და მნიგნობართა ასოციაციის ერთგული ქომაგის, ცნობილი ქართველი მეცნიერის, ფილოსოფოსის

ვაჟა კეხელიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

28 ივნისიდან 2 ივლისამდე  
ნალექიანი ამინდი  
მოსალოდნელი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოში 28 ივნისიდან 2 ივლისამდე მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელქვეთ, ზოგან ძლიერი, შესაძლებელია სეტყვა და ქარის გაძლიერება.



29 ივნისს - 1 ივლისს მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი დაკლება, ზღვაზე შესაძლებელია 2-3-ბალიანი ლექვა.

„მოსალოდნელია ძლიერმა ნალექებმა შესაძლებელია საქართველოს პატარა მდინარეებზე წყალმოვარდნები, ხოლო ქვეყნის მთიან ზონებში მყვარულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოინვიოს“, - აცხადებენ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

საბარეო ვალმა 17.8 მლრდ  
დოლარი შეადგინა!!!

საბარეო ვალმა 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით 17.8 მლრდ აშშ დოლარი (48.0 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 110.1 პროცენტია. 2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 10.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო საგარეო ვალი - 5.6 მლნ აშშ დოლარით, ფასის ცვლილებების გამო - 50.2 მლნ აშშ დოლარით და სხვა ცვლილებების გამო - 23.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ამავდროულად, საკუროს ცვლილებების გამო ვალი 69.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.

სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 7.4 მლრდ აშშ დოლარი (20.0 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 45.9 პროცენტია, რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 5.4 მლრდ აშშ დოლარი (14.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 33.1 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 376.4 მლნ აშშ დოლარი (1.0 მლრდ ლარი; მშპ-ს 2.3 პროცენტი), ხოლო სახელმწიფო სანარმოების ობლიგაციები და სესხები, შესაბამისად, 810.3 მლნ აშშ დოლარი (2.2 მლრდ ლარი; მშპ-ს 5.0 პროცენტი) და 886.2 მლნ აშშ დოლარი (2.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 5.5 პროცენტი).

საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 4.2 მლრდ აშშ დოლარი (11.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 26.2 პროცენტი), სხვა სექტორების საგარეო ვალმა - 5.4 მლრდ აშშ დოლარი (14.7 მლრდ ლარი; მშპ-ს 33.6 პროცენტი) და კომპანიათაშორისო ვალმა - 2.4 მლრდ აშშ დოლარი (6.5 მლრდ ლარი; მშპ-ს 14.9 პროცენტი). მთლიანი საგარეო ვალის 89.7 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით.

საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით 10.4 მლრდ აშშ დოლარი (28.1 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 64.4 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3.9 მლრდ აშშ დოლარია (10.6 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 24.2 პროცენტია. 2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 7.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულებების გამო, ვალი 0.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. 2019 წლის პირველი კვარტლის ბოლოს ეროვნული ბანკის მთლიანმა ვალდებულებებმა 376.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, 200.2 მლნ აშშ დოლარი განანტილებული ნასესხობის სპეციალური უფლებაა (სსუ), რომელსაც არა აქვს დაფარვის ვადა და პრაქტიკულად, მისი გადახდის ვალდებულება არ დადგება, სანამ საქართველო იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი.



ფსიქოლოგია

იყავ პესიმიზმი და...

ხშირად გვსმენია, ან წაგვიკითხავს ეს შეგონება - კაცი ოპტიმისტი უნდა იყო და ცხოვრებას იმედიანად უყვით. ამ „მზიანი“ აზრით თავად განვსჯვალულვარ. მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ოპტიმისტი განწყობა მრავალ გასაჭირსა თუ სადარდებელთან გამკლავებას გვიადვილებს და წარმატების მიღწევაში გვეხმარება.

არადა, ცოტა ხნის წინათ თვალის ერთი გადავლებით, თითქოსდა ამ „ურყვე თვისს“ ამერიკის ერთბაშად სამი უნივერსიტეტის - ნიუ-იორკის, ტაფტი-სა და კალიფორნიის მეცნიერებმა „წყალი შეუყენეს“. ექსპერიმენტის მსვლელობისას მოხალისეები კროსგორდებს ხსნიდნენ და სიტყვებს აწყობდნენ, როცა აღმოჩნდა, რომ სიცოცხლით სავსე და მხიარული ადამიანები პესიმიზმს და მოწყენილებზე უარესად ართმევდნენ თავს დავალებებს.

ექსპერიმენტატორებმა ამ მიგნებულ ფენომენს - „თავდაცვითი პესიმიზმი“ უწოდეს. მეცნიერთა აზრით, ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარე, პესიმიზმი გამომდინარეობს თავდაცვითი პოზიციის იკავებენ - ისინი წინასწარვე იწყებენ რალაქ-რალაქების განცდას, დარდობენ სავარაუდო „წავარდნის“ გამო. თუმცა, როცა საქმის რეალურად გაკეთების დრო დგება, „მკვლავებაკაპინებულები“ იწყებენ პრობლემის საქმიანად გადაჭრას, რის შედეგადაც

მათ ეს პესიმიზტი განწყობა ამოცანის გადაჭრაში ეხმარებათ, რაც, უპირველესად, მოჭარბებული პასუხისმგებლობის წყალობით ხდება.

ანალოგიური სქემა მოქმედებს, ვთქვათ, სამსახურში მოწყობისას: პესიმიზტი გასაუბრებაზე მიდის თავის პოტენციალზე დაქვეითებული შეფასებით, გუნებაში „მოლაპარაკებების“ უარეს სცენარს ატრიალებს და ამით საკუთარ თავს სხვადასხვა ვარიანტისთვის ამზადებს, მოქცევის სტრატეგიასა და ტაქტიკას ამუშავებს. შესაბამისად, პასუხისმგებლობის უფრო დაკვირვებულად იძლევა, ამას კი ჩვეულებრივ, წარმატება მოაქვს.

პესიმიზტი საკუთარი ჯანმრთელობის საკითხსაც უფრო დაკვირვებით უდგება, ოპტიმისტები, როგორც წესი, თავიანთ სწეულბებზე ბევრს არც ფიქრობდნენ, ავადმყოფობის სიმპტომებს დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, ოპტიმისტები კი წუხდებიან და მედიკოსებს მიმართავენ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავსკვნის გამოტანა, რომ პესიმიზტი გამომდინარეობს მეთი შანსი აქვთ. ისინი უფრო ექვიანები არიან და შეგნებული აქვთ, რომ რაც უფრო ადრე დაიწყებენ მკურნალობას, მით უფრო სწრაფად გამოჯანმრთელდებიან.

ნიმე ალექსანდრიანი

ბათუმში მინერალური სასუქების ახალი  
ტერმინალი გაიხსნება

მომავალი წლის ზაფხულში შავი ზღვის სანაპიროზე ბათუმის პორტში მინერალური სასუქების ახალი ტერმინალი გაიხსნება, ინფორმაციას Euronews-ი ავრცელებს. პროექტის პარტნიორი ბრიტანული ლოგისტიკური კომპანია Wondernet Express-ი და ამერიკული ქიმიური გიგანტი Trommco.

პროექტის რეალიზაციის მიზნით ერთობლივი სანარმოს შექმნაზე ხელშეკრულებას ჯერ კიდევ იანვარში მოეწერა ხელი.

Wondernet Express-ის მონაცემებით, თავდაპირველ ეტაპზე ტერმინალი თურქმენული „კარაბოგაზკარბამიდის“ ქარხანაში დამზადებული პროდუქციის ექსპორტს მოემსახურება.

ტერმინალის წლიური წარმადობა 1,2 მლნ ტონა ტვირთის მიღებაზეა გათვლილი, ინვესტიციების მოცულობა კი 17,5 მლნ ევროდ არის შეფასებული. ტერმინალს ექნება 60 ათას ტონა ტვირთის განთავსებაზე გათვლილი სასაწყობო ინფრასტრუქტურა. მულტიმოდალური ტერმინალი მინერალურ სასუქებს მოემსახურება ცენტრალური აზიიდან კასპიის გავლით ბაქოს პორტიდან, ტვირთი ბათუმში სარკინიგზო გზით მივა. მხარეები აცხადებენ, რომ ეს დერეფანი ცენტრალური აზიიდან შავ ზღვაზე ყველაზე მოკლე მარშრუტია.



# ს.ს.ი.პ - ნიალის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის განცხადების განცხადების მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი ნიალის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის ([www.eauction.ge](http://www.eauction.ge)) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა info@nam.gov.ge
4	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	<p>ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;</p> <p>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორებაზე მდინარის მარჯვენა ნაპირზე;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტერის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;</p> <p>ვ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოინჟინერი სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მითითებები;</p> <p>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;</p> <p>თ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს;</p> <p>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);</p> <p>კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი ჩხოროწყის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესიჭინეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობის ქვიშა-ხრემის გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 5 820 მ <sup>3</sup> ).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა ჩხოროწყის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესიჭინეს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი 5 061 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) 506.1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი 706 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 1 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 29 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 29 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა 1 წელი

14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №2		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების პროექტის მიხედვით.</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტერის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;</p> <p>ე) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოინჟინერი სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მითითებები;</p> <p>ვ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიესომეტრიული წერტილიდან დაბლისაკენ ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს;</p> <p>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოვლეს მიმდებარე ტერიტორია, „თემამის“ ცეოლითის შემცველი ტუფების გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 51 408 ტონა).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოვლეს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 1 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 29 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 29 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი

14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
<b>ობიექტი №3</b>		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
